ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 12 იანვარი 2008 №004 (3228) ფასი 50 თეთრი




## წლის სენსაცია

### იურგენ კლინსმანი მიუნხენში ჩავიდა

წლის სენსაცია — ასე მონათლა „ბილდმა" „ბაიერნის" ახალ მწვრთნელად იურგენ კლინსმანის დანიშვნა. ოღონდ დავაზუსტოთ: მიუნხენურ კლუბში სეზონს ოტმარ ჰიცფელდი ჩაამთავრებს, კლინსმანი კი გუნდს ზაფხულიდან გაწვრთნის.

ახალი წლის დღეებში კლუბის მენეჯერმა ული ჰიონესმა „ბილდს" ჰიტცფელდთან განშორების შესახებ აუწყა. ახლა კი მემკვიდრეც გამოჩნდა. თუმცა, ჯერ კიდევ ოთხი დღის წინ, ჰიონესმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, ახალი მწვრთნელის ძებნას შეიძლება სამი კვირა ან სულაც ორი-სამი თვე დასჭირდესო, თუმცა ყველაფერი უფრო სწრაფად მოხდა.

იურგენ კლინსმანი უკვე მიუნხენშია. დღეს „არაბელა შერატონ გრანდ ოტელში" პრესკონფერენციას გამართავს, სადაც მასთან ერთად ფრანკ რიბერი და ლუკა ტონიც იქნებიან. მერე კი „კლინსი" კონტრაქტს მოაწერს ხელს, ხოლო მუშაობას 1 ივლისიდან დაიწყებს. ბუნდესნაკრების ყოფილი მწვრთნელისთვის „ბაიერნი" პირველი სამწვრთნელო კლუბია.

მოკლედ, კლინსმანი მიუნხენში დაბრუნდა. „ბაიერნში" ის 1995-97 წლებში თამაშობდა და უეფას თასი და ჩემპიონატი მოიგო. ასე რომ, ის მიუნხენელებს ძალიან კარგად იცნობს.

ნინო სილაგაძე

# დუბლი დუბლინში

## კენჭისყრით ნარგუნებ ირლანდიას საქართველომ ჩრდილოეთ ირლანდია შემატა

მომდევნო კვირაში საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის კალენდარი ექნება და იმ კვირის მთავარი საფეხბურთო ამბავიც ჩვენთვის ეს იქნება.

იქამდე კი სხვა კალენდრისა ვთქვათ: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ წლევანდელი ამხანაგური მატჩების განრიგს ერთი თამაშიც შემატა — 26 მარტს დუბლინში ჩრდილოეთ ირლანდიას ვეთამაშებით.

ლატვია, რუმინეთი, უელსი — ეს გუნდები მეტოქეებად აქამდეც შეგულებულები გვყავდა.



**Australian Open**

**The Grand Slam of Asia/Pacific**

# 20 640 000 დოლარი

## ეს თანხა ავსტრალიაში გაიყოფა

ორბაშათს მელბურნში ახალი საჩოგბურთო სეზონის პირველი დიდი შეჯიბრი, ავსტრალიის ღია პირველობა იწყება. წლის პირველი სლემტურნირის უმთავრესი ფავორიტები როჯერ ფედერერი და ჟუსტინ ენინი არიან, რომლებიც მყარად დგანან ATP-სა და WTA-ს რეიტინგთა სათავეში და მელბურნის ცხელ ჰარდზეც შეეცდებიან თავიანთი სიძლიერის დამტკიცებას.

ფედერერის უმთავრეს კონკურენტებად რაფაელ ნადალი, ნოვაკ ჯოკოვიჩი, ენდი როდიკი და ენდი მიურეი ითვლებიან, ხოლო ენინს ავსტრალიულ ტიტულს მრავალრიცხოვანი რუსები, შარშან უაღრესად მაღალ დონეზე მოთამაშე სერბები - ანა ივანოვიჩი და ელენა იანკოვიჩი და, რაღა თქმა უნდა, ამერიკელი დები, ვინუს და სერენა უილიამსები შეეცილებიან.





# ბრიტანული სამიზნეები

## საქართველო ჩრდილოეთ ირლანდიასაც მოურიგდა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ქვეყნის ეროვნული გუნდისთვის კიდევ ერთი ამხანაგური მეტოქე შეიგულა — 26 მარტს კლაუს ტოპმიოლერი ნაკრებს ჩრდილოირლანდიელებს გააჯიბრებს. მატჩი დუბლინში გაიმართება.

ჩვენებსა და ბრიტანელებს შორის ამ ამხანაგურ შეხვედრაზე მოლაპარაკება კარგა ხანს გრძელდებოდა და აგერ, ახლა წარმატებით დასრულდა.

ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებს, რომელიც აქამდე არაფრით გამოირჩეოდა, ამჟამად კარგი თაობა ჰყავს და ამ ბოლო დროს ერთი-ორი ხმაურიანი თამაშიც მოუგია, რის დასტურადაც მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო შესარჩევში ინგლისის 1:0 ძლევაც გამოდგება.

ჩრდილოეთ ირლანდიასთან ჩვენების ნაცნობობა აქამდე მხოლოდ საკლუბო დონეზე შემოიფარგლებოდა. თავის დროზე თბილისის „დინამოსა" და „ლოკომოტივს", ასევე ქუთაისის „ტორპედოს" ჩრდილოირლანდიელთა საუკეთესო კლუბ „ლინფილდთან" უთამაშიათ, „დინამოს" ერთხელაც „კრუზეიდერსი" ჰყავს დამარცხებული. 26 მარტს კი უკვე სანაკრებო მატჩი იქნება.

შეგახსენებთ, რომ ამხანაგური მატჩების გრაფიკით საქართველოს კიდევ ერთი ბრიტანული მეტოქე ჰყავს — 20 აგვისტოს ტოპმიოლერი შეგირდებს კარდიფში უელსს გააჯიბრებს.

ჩრდილოეთ ირლანდია, უელსი — ცხადია, საქართველოს ნაკრების მწვრთნელები ამათთან მატჩებს ირლანდიასთან შესარჩევში თამაშისთვის გამოიყენებენ.

აქვე გეტყვით: საქართველოს ნაკრები 6 თებერვალს თბილისში ლატვიას უმასპინძლებს, 19 ნოემბერს კი რუმინეთს ესტუმრება.

**კობა ინასარიძე**

# ერთიდან მეორე ბუნდესლიგაში?

## შაშიაშვილზე გერმანია ახსენეს



**გიორგი შაშიაშვილით** გერმანული ბუნდესლიგის გუნდია დაინტერესებულიო, წერია ერთ-ერთ ავსტრიულ ვებგვერდზე. კონკრეტულად კლუბი არ სახელდება, მაგრამ საინტერესოა, რომ ჩვენიანის ფასი ბოლო თვეში ორჯერ გაზრდილა — ახლა „შაშის" მყიდველ კლუბს 1 800 000 ევროს გადახდა მოუწევს.

საქართველოს ნაკრების 28 წლის მცველს მშვენიერი სეზონი აქვს გრაცის „შტურმში". მისი გუნდი ავსტრიის მაქსბუნდესლიგას ლიდერობს, ქართველი კი თითქმის შეუცვლელად თამაშობს.

**ილია ნანობაშვილი**

# პაჭელოს თურქეთი დაუმალეს

**გიორგი** ნოდარის ძე ჭელიძემ 6 თვე „ზესტაფონში" გაატარა და მოსკოვის „ლოკომოტივს" დაუბრუნდა, რომელთანაც კონტრაქტი აკავშირებს.

„პაჭელო" რამდენიმე დღის წინ ჩავიდა მოსკოვში, თუმცა იმის შანსი, რომ „ლოკომოტივში" დარჩება, აშკარად შეუმცირდა — რკინიგზელები თურქულ შეკრებაზე წავიდნენ და ქართველი თავდამსხმელი არ წაიყვანეს.

ჭელიძემ კი ამასწინათ გვითხრა, თუ ძირითად გუნდში თამაშის პერსპექტივა არ მექნება, ისევ განათხოვრებას ან გაყიდვას მოვითხოვო.

**ილია ნანობაშვილი**

# ადამიას ცხადაძის იმედი აქვს

**გიორგი ადამია ბაქოს „ნეფთის" ერთ-ერთი ლიდერია და აზერბაიჯანში დიდი პოპულარობით სარგებლობს, ამიტომ ჟურნალისტებიც ხშირად აწუხებენ. ასეა ახლაც: გიორგის რამდენიმე საკითხზე სთხოვეს კომენტარი...**



— სანამ ისვენებდით, „ნეფთჩიში" ახალი მწვრთნელი მოვიდა...

— არ მეგონა, თუ ვლასტიმილ პეტრჟელა ასე მალე დატოვებდა „ნეფთჩის". ანატოლი დემიანენკოს ჩამოსვლამაც გამაკვირვა, მაგრამ ყველა შემთხვევაში, ეს კლუბის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია.

— თუმც მისმა დანიშვნამ, შესაძლოა, ფეხბურთელებზე უარყოფითად იმოქმედოს...

— რა თქმა უნდა, ჩვენთვის ძალიან ძნელია... ყველა მწვრთნელს თავისი ტაქტიკა აქვს და გადაწყობა გვიხდება, თუმც არ ვჩივი, რადგან ფეხბურთი ჩემი სამუშაოა.

— პეტრჟელას დროს ხშირად ძირითადში ვერ ხვდებოდით...

— ტრავმის შემდეგ სასურველი ფორმის აღდგენას დიდი დრო დასჭირდა. ვფიქრობ, მეორე წრეში მეტ დროს მოედანზე გავატარებ, ვიდრე სათადარიგოთა სკამზე.

— შეძლებს დემიანენკო „ნეფთჩის" ხელმძღვანელობის საჩემპიონო მოთხოვნების დაკმაყოფილებას?

— იმედი მაქვს, შეძლებს. წარმატებებს ვუსურვებ და ვეცდები, დიდხანს დავტოვო ბაქოში.

— მასთან საუბარი უკვე მოასწარით. რა გითხრათ ახალმა მწვრთნელმა პირველ ვარჯიშზე?

— ჩვეულებრივი საუბარი გვქონდა, გაცნობის ხასიათის.

— მაშინ, როდესაც დემიანენკო „ნეფთჩის" მწვრთნელი გახდა, თქვენს თანამემამულე კახა ცხადაძეს „სტანდარტი" ჩააბარეს...

— ამ ამბავმა ძალიან გამახარა. ისე, მე და კახა ერთად ჩამოვფირინდით ბაქოში.

— რა შეუძლია, შეცვალოს ცხადაძემ აზერბაიჯანულ ფეხბურთში?

— ვიმედოვნებ, რომ ბევრი რამ. ის კარგი ფეხბურთელი იყო და ძლიერი მწვრთნელი გახდება. „სტანდარტის" ფეხბურთელებს მასთან საინტერესო სამუშაო ელით.



**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების და ავსტრიული „ლუშტენაუს" ნახევარმცველმა მირზა ბჟალავამ შარშან დეკემბერში კოჭზე მეორე ოპერაცია გაიკეთა. ერთი თვით ადრე მირზამ რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან (2:0) მოუშუშებელი კოჭით ითამაშა და მალევე საოპერაციო გახდა. ახლა იგი ავსტრიაშია და ჩვენც იქ შევეხმიანეთ. ცხადია, ჯერ შობა-ახალი წელი მივულოცეთ...**

# მირზა ბჟალავას მოუსვენარი კოჭი

## ანთალიაში უნდა წავიდე

— დიდი მადლობა. მთელ საქართველოს ვულოცავ 2008 წელს, ყველას ბედნიერებას ვუსურვებ. ქართული ფეხბურთისთვის წარმატებული წელი ყოფილიყოს, საკლუბო ფეხბურთი ფეხზე დამდგარიყოს!

— ახალ წელს სად შეხვდი?

— თბილისში. ოპერაციის შემდეგ, 21 დეკემბერს ჩამოვედი და 2008 წელს ჩემს საყვარელ ხალხთან ერთად შევხვდი.

— რამდენი ხანია, რაც ავსტრიაში ჩახვედი?

— 6 იანვარს გუნდთან ერთად დავიწყე ვარჯიში, მაგრამ ფეხმა შემაწუხა და ახლა ინდივიდუალური პროგრამით ვემზადები.

— ექიმები რას გეუბნებიან, როდის იქნები მწყობრში?

— სავარაუდოდ, ორ კვირაში გუნდს უნდა შევუერთდე. თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მეორე წრისთვის ფორმაში ვიქნები.

— „ლუშტენაუს" როგორი საწვრთნელი გეგმები აქვს?

— ჯერ აქ ვართ და ტესტ-მატჩებსაც ვგეგმავთ. შემდეგ კი ანთალიაში იქნება შეკრება, სადაც გუნდს მეც უნდა გავყვე.

**ნუკრი ლოლაძე**

# ოთარ ხიზანეიშვილმა ვერდერთან გაამთელა

**ოთარ ხიზანეიშვილი** ამ ზამთრის შესვენებაზე იმდენს თამაშობს „ფრაიბურგში", მთელი პირველი წრე რომ არ უთამაშია.

„ფრაიმ" თურქულ შეკრებაზე ჯერ „შალკესთან" წააგო (1:3) და ქართველმა მცველმა მეორე ტაიმი სრულად იბურთავა, გუშინ კი „ვერდერთან" 0:2 წაგებულ მატჩში 90 წუთი მინდორზე იყო.

ვითომ, „ფრაის" თავკაცი რობინ დატი ჩვენიანისკენ შემობრუნდა?

არადა, ერთი თვის წინ ხიზანეიშვილის ინგლისურ „სანდერლენდში" და ერთ-ერთ თურქულ კლუბში გადასვლაზე იყო საუბარი.

**ილია ნანობაშვილი**

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XX ტური

ბასტია 0:0 კლერმონი
ბულონი 0:0 აიაჩო
დიჟონი 0:2 მონპელიე
გრენობლი 0:0 ანჟერი
გენიონი 2:3 სედანი
ლიბურნი 1:1 რეიმსი
ნიორი 1:3 გენგამი
ტრუა 1:0 ამიენი
ნანტი 2:1 შატორუ

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. XIX ტური

ნაიმეგენი 2:2 ტვენტე

II დივიზიონი XXIII ტური

კამბური 1:0 ალმერე
ემენი 1:1 ტელსტარი
დორდრეხტი 2:2 ვეენდამი
ვოლენდამი 6:2 ეინდჰოვენი
ზვოლე 1:1 როზენდალი
სიტარდი 0:1 დენ ბოსხი
ჰაარლემი 2:1 აპელდორნი
ჰელმონდი 2:0 დენ ჰააგი
ვალვაიკი 7:2 იგლსი
ოსი 4:1 მაასტრიხტი

### ბელგია

II კლასი

გადადებული მატჩი

ლომელი 1:1 ტინენი

### ინგლისი

I ლიგა. XXVI ტური

ტრანმერი 0:2 როვერსი

### პორტუგალია

სუპერლიგა. XVI ტური

ფერეირა 3:1 მარიტიმუ

### ამხანაგური მატჩები

ტუნისი 1:0 ზამბია
ნიგერია 2:0 სუდანი
ეგვიპტე 1:0 მალი
ყატარი 0:0 ირანი
რუსენბორგი 2:2 ლას პალმასი
ალემანია 1:0 მაინცი
არმინია 2:1 პადერბორნი
დუისბურგი 2:0 ოფენბახი
კოტბუსი 2:1 ლაბემი
ოსნაბრიუკი 1:0 ლიპშტადტი
ჰანოვერი 2:1 რაპიდი
კობლენცი 0:2 ვეჰენი
აუგსბურგი 1:1 რიდი
ჰერტა 0:1 გრასჰოპერი

# ზღვისპირული დინება

## ბათუმი ძლიერდება, მაგრამ ხელსაც არავის უშლის: მამინაშვილი რუსეთში, დარჩიძე თურქეთში, თედორაძე უკრაინაში

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის აუტსაიდერ „ბათუმში“ ამჟამად 38 ფეხბურთელი ვარჯიშობს, თუმც, ცხადია, ყველა მათგანი არ დარჩება გუნდში — ზოგი გასინჯვაზეა, ზოგიც ისევ აპირებს კლუბის გამოცვლას.

დაახლოებით, ერთი თვის წინ გაცხადდა, შესაძლოა, „ბათუმი“ ამერიკელმა მილიონერმა შეიძინოსო. ამ კაცს მთლიანად აჭარაში სდომებია სპორტის აღორძინება და დიდძალი კაპიტალის ჩადება, თუმც ჯერჯერობით, ეს საკითხი შეჩერებულია.

„ბათუმის“ მთავარმა მწვრთნელმა ავთანდილ კუნჭულიამ სხვა სიახლეებზეც გვითხრა:

— მეკარე შოთა მამინაშვილი რუსეთში, „კუზბასში“ წავიდა. ვიტალი დარჩიძე თურქულ კლუბშია გასინჯვაზე, ხოლო ბეგლარ თედორაძე უკრაინაშია. რაღაც ვარიანტები აქვს კახა მახარაძესაც. ჩვენ ხელს არავის შევუშლით. რაც შეეხება ახალწვეულებს, სამ დღეში კიდევ 5 ფეხბურთელი ჩამოვა — გვარებს ჯერ ვერ ვიტყვი, მაგრამ „დინამოში“, რუსთავის „ოლიმპში“, ბოლნისის „სიონში“ და თბილისის „ლოკომოტივში“ ნათამაშევ გამოცდილ ფეხბურთელებზეა ლაპარაკი“.

კუნჭულიასვე თქმით, წინა წრესთან შედარებით, „ბათუმი“ გაცილებით ძლიერი გუნდი იქნება.

ვნახოთ...

**ილია ნანოგაშვილი**



# ალადაშვილი ვარჯიშობს, მარცვალაძე კი თამაშობს

**ქართველი** ფეხბურთელები, ოთარ მარცვალაძე და კახა ალადაშვილი „ხარკოვს“ უკვე შეუერთდნენ და მომავალი სეზონისთვის ანთალიაში ემზადებიან — წერს ხარკოველთა ოფიციალური ვებგვერდი.

მარცვალაძემ ახალი გუნდის შემადგენლობაში პირველი ამხანაგური მატჩის ჩატარებაც მოასწრო: „ხარკოვი“ რუსეთის პირველდივიზიონელ ულიანოვსკის „ვოლგასთან“ 0:1 დამარცხდა.

მარცვალაძე მოედანზე მეორე ტაიმში შეცვლაზე გამოვიდა.

რაც შეეხება ალადაშვილს, იგი ჯერჯერობით ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს.

მარცვალაძე და ალადაშვილი კიევის „დინამოს“ ეკუთვნიან და უკრაინის ჩემპიონატის პირველ წრეში უჟგოროდის „ზაკარპატიეში“ იყვნენ განათხოვრებულნი.

**ქახა შალამბერიძე**

# სანტოსი მოდის, ჩასემი მოვიდა

## გოცირიძე მიდის, ფიფია წავიდა

**„ზესტაფონმა“** ბაკურიანული შეკრება დაასრულა და 24-25 იანვარს თურქეთში წავა მეორე შეკრებაზე. მანამდე კი თემურ მახარაძის გუნდი ზესტაფონში გააგრძელებს მზადებას.

კაცმა რომ თქვას, ბაკურიანზე ნაკლები თოვლი არც იქაა და ფიზმომზადების მშვენიერი პირობებია.

და სიახლეებიც: პირველ რიგში, საინტერესოა, რომ ფეროელებს დღეიდღეზე ჩამოაკითხავს ბრაზილიელი ლეგიონერი ედსონ სანტოსი.



გახსომებათ, რაც შეემთხვა ბრაზილიელ მცველს ზაფხულში, მას შემდეგ სამშობლოში იყო წასული კლუბის ნებართვით და ახლა უკან ბრუნდება.

„ზესტაფონშია“ კამერუნელი ერიკ რომეო ჩასემიც, რომელიც ბოლნისის „სიონის“ წამყვანი ფორვარდი გახლდათ.

„ჩასემის საკითხზე ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს და, სავარაუდოდ, დადებითად გადაწყდება“ — გვითხრა „ზესტაფონის“ პრესატაშე სერგო ფუტკარაძემ.

თუმც „ზესტაფონი“ ამაზე არ ჩერდება და ფუტკარაძისვე თქმით, ან თურქულ შეკრებაზე, ანაც მერე, გუნდი სამი ფეხბურთელით გაძლიერდება. არ არის გამორიცხული, მათ შორის ლეგიონერიც გამოერიოს.

მახარაძის გუნდი დატოვა კაპიტანმა კახა ჩხეტიანმა, ვისაც კონტრაქტი დაუსრულდა — „ზესტაფონი“ და ჩხეტიანი უპრობლემოდ დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

გიორგი ნოდარის ძე ჭელიძის მოსკოვის „ლოკომოტივში“ დაბრუნების ამბავი იცით და, შესაძლოა, იმერლებს კიდევ დააკლდეთ თავდამსხმელი. ლაპარაკია გოგი ფიფიაზე, რომელმაც თავადაც გვითხრა, უკრაინული „დნიპროა“ ჩემით დაინტერესებულიო და უკრაინელი სააგენტოების ცნობით, უკვე დნეპროპეტროვსკშია ჩასული და გუშინ ივარჯიშა კიდეც, თუმც, როგორც შევიტყვეთ, „ზესტაფონი“ მის გაყიდვაზე უარს აცხადებს.

და ბექა გოცირიძე? ისიც გუნდთან ერთად ემზადება, თუმც ნალჩიკის „სპარტაკში“ გადასვლის იმედი არ გადაწურვია.

„ყველაფერი „ზესტაფონზეა“ დამოკიდებული. მე ვიცი, რომ ნალჩიკელებს უნდათ ჩემი შეძენა, მეტი არაფერი“ — გვითხრა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ბომბარდირმა.

**ილია ნანოგაშვილი**



ედსონ სანტოსი



ერიკ რომეო ჩასემი



გოგი ფიფია

### 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### ჩვენი მეტოქე

# მარკოვი და არავინ სხვა!

**ბევრი** იფიქრეს თუ ცოტა, ბულგარული ფეხბურთის მამებმა ნაკრებს ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს — პლამენ მარკოვი, ვინც ბოლოს სოფიის ცსკა-ს წვრთნიდა.



მარკოვი 2002-04 წლებშიც თავკაცობა ჩვენს მომავალ მეტოქეს და მერე ხრისტო სტოიჩკოვმა შეცვალა.

ბულგარული „დნევნიკის“ ცნობით, მარკოვი უკვე შეუთანხმდა ბულგარეთის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტ ბორისლავ მიხაილოვს, საბოლოოდ კი მისი საკითხი კავშირის აღმასკომმა უნდა დაამტკიცოს.

შეგახსენებთ, რომ მარკოვამდე ბულგარელები სრეჩკო კატანეცს, ტერი ვენეიბლზს, კლაუს ტოპმიოლერს და ოლეგ რომანცევს ეპატიჟებოდნენ.

**ქახა შალამბერიძე**

# დინამო ერთადერთია

**ფეხბურთის** ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ ახალ რეიტინგში ქართული კლუბებიდან მხოლოდ თბილისის „დინამო“ მოხვდა.

ტოპ-350 კლუბს შორის დინამოელები 66 ქულით 303-311-ე ადგილებს იყოფენ.

რეიტინგის პირველი ოცეული კი ასეთია:

| | | |
|---|---|---|
| 1. | „სევილია“ (ესპანეთი) | 306 ქულა |
| 2. | „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) | 281 |
| 3. | „მილანი“ (იტალია) | 280 |
| 4. | „ჩელსი“ (ინგლისი) | 277 |
| 5. | „სანტოსი“ (ბრაზილია) | 254 |
| 6. | „ბოკა ხუნიორსი“ (არგენტინა) | 252 |
| 7. | „ინტერი“ (იტალია) | 236 |
| 8. | „ლივერპული“ (ინგლისი) | 231 |
| 9. | „რომა“ (იტალია) | 229 |
| 10. | „ამერიკა“ (მექსიკა) | 222,5 |
| 11. | „ბარსელონა“ (ესპანეთი) | 216 |
| 12. | „არსენალი“ (ინგლისი) | 210 |
| 13. | „ვერდერი“ (გერმანია) | 206 |
| 14. | „კოლო-კოლო“ (ჩილე) | 204,5 |
| 15-16. | „სან პაულუ“ (ბრაზილია) | 202 |
| 15-16. | „ლიბერტადი“ (პარაგვაი) | 202 |
| 17. | „დეფენსორი“ (ურუგვაი) | 197,5 |
| 18. | „ჰამბურგი“ (გერმანია) | 192 |
| 19-20. | „რეალი“ (ესპანეთი) | 190 |
| 19-20. | „ატლეტიკო“ (ესპანეთი) | 190 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტაქტიკა? ჩემთვის სულერთია

## ასათიანი რეგისტრაციაში ხელმეორედ გაატარეს



მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებმა სამედიცინო შემოწმება რომ გაიარეს, გუშინაც გამცნეთ. ექიმებთან სტუმრობა კი გუნდის ქართველი ლიდერისთვის, მალხაზ ასათიანისთვის სიურპრიზით დაიწყო — კლინიკის რეგისტრატურაში მისი ბარათი ვერ იპოვეს. ცოტა ხნის შემდეგ ასათიანმა რეგისტრატურაში ახალი ბარათი მიიღო და სამედიცინო შემოწმების შემდეგ „სპორტ-ექსპრესის“ ჟურნალისტსაც გაესაუბრა...

**— შვებულებისას ალბათ ზღვაზე დაისვენეთ...**

— არა, რადგან ცურვა არ ვიცი. სერიოზულად კი, მხოლოდ სახლში ყოფნა და ოჯახის წევრების მონახულება მოვასწარი. ზღვაზე წასვლა ვერ მოვახერხე, არადა, კი მინდოდა.

**— არდადეგებზე წასვლამდე რაშიდ რახიმოვის გაცნობა მოასწარით?**

— დიახ. ჩვენ ახალი მწვრთნელი კრებაზე გაგვაცნეს, მოგვიანებით კი მას პირადად ვესაუბრე.

**— რა საკითხები განიხილეთ?**

— სერიოზული არაფერი. ეს ზოგადი საუბარი იყო, რომელიც მწვრთნელმა თითოეულ ფეხბურთელთან ჩაატარა. ამ ეტაპზე მოსამზადებელი გეგმის დეტალებიც კი არ ვიცით. უფრო საინტერესოა მუშაობის დაწყება, რადგან თითოეულ სპეციალისტს საწვრთნელ პროცესში სიახლეები შეაქვს.

**— მომავალი სეზონისგან რას ელით?**

— უპირველესად, კარგ თამაშს. ამას ჩვენგან კლუბის ხელმძღვანელობაც ელის, განსაკუთრებით კი — გულშემატკივარი. წინა სეზონი „ლოკომოტივს“ ჩაუვარდა. ჩვენთვის ეს საწყენი იყო და გვრცხვენოდა იმ ხალხის, რომელიც სტადიონზე მოდიოდა და მხარს გვიჭერდა. 2007 წელი ჩემთვის ალბათ ყველაზე ცუდი გახლდათ, რაც „ლოკომოტივში“ გამიტარებია. მინდა, ქომაგებს კიდევ ერთხელ მოვუხადო ბოდიში. წლეულს, ვეცდები, ჩემი კარგი თამაშით ყველა გავახარო, როგორც ეს ადრე იყო, როდესაც „ლოკომოტივი“ ჩემპიონი გახდა.

**— და რა კომპონენტებში უნდა მოუმატოს ამისთვის გუნდმა?**

— საკუთარ კარში ბევრ გოლს ვუშვებდით და, მიუხედავად იმისა, რომ ვითარების გამოსწორებას ვცდილობდით, გამუდმებით რაღაც გვაკლდა. ვფიქრობ, ეს გუნდური თამაში იყო. უპირველესად, მოედანზე ერთად ყოფნაა საჭირო. დარწმუნებული ვარ, ამ სეზონში მოვუმატებთ და სტაბილურად ვითამაშებთ.

**— „ლოკომოტივს“ ჩემპიონობისთვის ბრძოლის უნარი შესწევს?**

— ბოლო წლებში რუსეთის ჩემპიონატის დონე გაიზარდა. პრემიერლიგაში ბევრი ძლიერი გუნდია და საშუალო დონის კლუბებიც საკმაოდ კარგად თამაშობენ. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის არასოდეს დაუსახავთ მიზნად მე-3 ან მე-4 ადგილის დაკავება. მნიშვნელობა არ აქვს, რა შემადგენლობა გვყავს, რადგან „ლოკომოტივი“ ყოველთვის ჩემპიონობისთვის იბრძვის.

**— რას ფიქრობთ იმის თაობაზე, რომ რახიმოვს უახლოესი სამი წლის განმავლობაში გუნდის საგრძნობლად გადახალისება სურს?**

— ცხადია, გუნდში ახალგაზრდების მოწვევა აუცილებელია. თუმცა, ჩემი აზრით, „ლოკომოტივის“ ძირითადი ბირთვი უკვე ჩამოყალიბებულია. მხოლოდ ერთი-ორი კარგი ფეხბურთელის დამატებაა საჭირო და წინსვლაზე ფიქრი შეგვიძლია.

**— განვლილ სეზონში „ლოკომოტივი“ ხან სამი, ხან კიდევ ოთხი მცველით თამაშობდა. თქვენთვის რომელი ტაქტიკური სქემა უფრო მისაღებია?**

— სულერთია, ვინაიდან ნებისმიერ სათამაშო სქემას შემიძლია შევეწყო. მთავარია, საბოლოო ჯამში გუნდმა გაიმარჯვოს. ადრე შეტევებში ვერთვებოდი, მაგრამ ახლა უფრო დაცვაში თამაშს მივეჩვიე. ცხადია, რთულია პოზიციის შეცვლა, რადგან წინა ხაზში სულ სხვა სამუშაოა შესასრულებელი. ისე კი, სადაც დამაყენებენ, იქ ვითამაშებ. თუ საჭიროა, კარშიც ჩავდგები.

**— ბრანისლავ ივანოვიჩის წასვლა გუნდისთვის სერიოზული დანაკლისია?**

— რა თქმა უნდა. ძლიერი ფეხბურთელის წასვლა გუნდს ყოველთვის აჩნევს თავის კვალს და საწყენია, რომ ის მიდის. ივანოვიჩი მოედანზე ჩვენთვის სერიოზულ ძალას წარმოადგენდა. ბოლო სეზონში კი იგი ისეთ ფორმაში შევიდა, ნებისმიერ ჩემპიონატსა და გუნდში თამაშს შეძლებს. არ აქვს მნიშვნელობა, ეს „ჩელსი“ იქნება თუ „რეალი“.

**— ანუ იგი „ჩელსიში“ დამკვიდრებას შეძლებს?**

— ცხადია. მას ნიჭი და თამაშის სურვილი აქვს — მეტი რა არის საჭირო? ივანოვიჩს წარმატებებს ვუსურვებ.

**— „ლოკომოტივი“ შეკრებაზე თურქეთში მიემგზავრება. თქვენი ნება რომ ყოფილიყო, მომზადებას სად ისურვებდით?**

— მნიშვნელობა არ აქვს, რომელი ქვეყანა იქნება. მთავარია, კარგი მოედნები და თბილი ამინდი იყოს. ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში წავსულიყავით. ერთხელ უკვე გვქონდა იქ შეკრება და ძალიან მომეწონა. თუმცა თურქეთიც არ არის ცუდი.

# ახალი ქართველი კაუნასში

## ზურაბ ხურციძე პრეზიდენტს ელის



**ლიტვის** ყველაზე ტიტულიან გუნდ „კაუნასში“ კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი გამოჩნდა — 17 წლის ზურაბ ხურციძე, რომელიც ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილი პრეზიდენტის, გრიგოლ ხურციძის შვილია და „ტორპედოს“ გარდა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებშიც უთამაშია.

ზურას კაუნასში გუშინ შევეხმიანეთ: „ჯერ მხოლოდ ორი ვარჯიში ჩავატარე გუნდთან ერთად. ჩემზე გარკვეული წარმოდგენა კი ჰქონდათ, ისე ხომ არც მიმიწვევდნენ, მაგრამ მაინც მაკვირდებიან. ვიზა ერთთვიანი მაქვს, მანამდე კლუბმა ბინა მიქირავა და იქ ვიცხოვრებ. იმ კვირაში კლუბის პრეზიდენტს უნდა შევხვდეთ და ჩემი საკითხიც ამის შემდეგ გადაწყდება. მანამდე კი ვარჯიშებზე ვეცდები, კონტრაქტის გაფორმება ეჭვქვეშ არ დავაყენო. ისიც მითხრეს, რომ „კაუნასს“ „თანამეგობრობის თასზე“ წავყვები, თუმც ვითამაშებ თუ არა, ვერ გეტყვით. აქ ქართველებს დიდ პატივს სცემენ. ჩემამდე გუნდში სამი ქართველი იყო — ნუკრი მანჩხავა, გივი კვარაცხელია, აკაკი ხუბუტია — და სამივე კარგად დამხვდა. სულ ერთად ვართ“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დრო გადის, ფასი რჩება

## გოგუა ნახევარი მილიონი ღირს

**ამერ** უკვე რამდენი ხანია, გოგიტა გოგუამ ერთსა და იმავე გუნდში ფეხი მყარად ვერ მოიკიდა და, ვფიქრობთ, ამის ახსნა მარტივად შეიძლება — ანდრეი ჩერვიჩენკო.

გოგუას საფეხბურთო საქმეებს სწორედ ჩერვიჩენკო განაგებს და 500 000 დოლარს ცენტსაც არ აკლებს.

ამის გამო გოგუას რამდენჯერმე შეექმნა პრობლემები: ჯერ ნალჩიკის „სპარტაკმა“ ვერ შეძლო მისი ტრანსფერის გამოსყიდვა, შემდეგ შოტლანდიურ „ჰართსს“ შეექმნა პრობლემები, ბოლოს კი რამენსკოეს „სატურნმა“ ვერ შეძლო ქართველის შენარჩუნება.

ახლა გოგუა თავის ყოფილ კლუბ ნალჩიკის „სპარტაკთან“ ერთად თურქულ შეკრებაზეა და ყაბარდოელები ხელმეორედ ეცდებიან მისი ტრანსერის გამოსყიდვას. ფასი კი კვლავ ყბადაღებული 500 000 დოლარია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ძოძუაშვილმა ფეხბურთი კალათბურთში გაცვალა

## ჩააგდეთ და... გაიტანეთ!

**უცნაურად** დაიწყო ყარაგანდის „შახტიორის“ საახალსეზონო ვარჯიშები რევაზ ძოძუაშვილმა — პირველივე ვარჯიშზე თავის ფეხბურთელებს „ნაცნობი“ ბურთი დაუმალა და კალათბურთისა მიაჩეჩა.

„კალათბურთის ტაქტიკა ძალიან ჰგავს ფეხბურთისას, ხოლო, ვისაც კალათში ბურთის ზუსტად სროლა შეუძლია, კარშიც ზუსტად დაარტყამს“ — ასე ახსნა ძოძუაშვილმა თავისი გადაწყვეტილება.

„კალათბურთელთა“ შორის კი ყველაზე შედეგიანი ლევან მელქაძე აღმოჩნდა.

„ჯერ ისევ ცუდ ფორმაში ვარ. საჭიროა, შეკრებებზე ნაყოფიერად ვიმუშაო, რათა სეზონისთვის კარგად მოვემზადო და მაღალ დონეზე ვითამაშო“ — განაცხადა მელქაძემ.

ძოძუაშვილს კი, პირველი შემთხვევაა, როდესაც გუნდში ქართველი ფეხბურთელი თან არ მიჰყავს და მხოლოდ იმათ ენდობა, ვინც დახვდა (მელქაძე და ლაშა ნოზაძე).

— სერბი, ხორვატი, ბრაზილიელი, უკრაინელი და რუსი ფეხბურთელები დავიმატეთ. „ჰალმშტადიდან“ დაგვიბრუნდება დავით ლორია — ასეთია ძოძუაშვილის პოლიტიკა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაიკ ეშლი


პოლ კიმსლი


ჰარი რედნაპი

# კაჭკაჭმა უთხრა პომპეუსს

**მოგეხსენებათ**, „ნიუკასლმა" სემ ალარდაისი გაუშვა და მის ნაცვლად „პორტსმუთიდან" ჰარი რედნაპის გადაბირებას აპირებს, მაგრამ „პომპეუსი" („პორტსმუთის" მეტსახელია) მწვრთნელს იოლად არ თმობს.

რედნაპის კლუბმა ოფიციალური განცხადებაც გაავრცელა. ამ განცხადებაში წერია: „ჩვენთვის ჰარი რედნაპის თაობაზე არც მოუმართავს ვინმეს. რედნაპი „პორტმუთის" თავკაცია და ჩვეულებრივ განაგრძობს მუშაობას".

„ნიუკასლის" მწვრთნელობის კანდიდატად ახსენეს გუნდის ყოფილი ვარსკვლავი ალან შირერიც, მაგრამ ჯერჯერობით არც ამ საქმეს უჩანს სერიოზული პირი.

დავუბრუნდეთ რედნაპს: ცნობილმა სპეციალისტმა „პორტსმუთთან" ახალ, ოთხწლიან ხელშეკრულებას არცთუ დიდი ხნის წინ მოაწერა ხელი და, როგორც ამბობენ, ხმებს „ნიუკასლში" გადასვლის შესახებ ბოლო მოუღო. სხვათა შორის, რადიო BBC-ს ჟურნალისტმა რედნაპს მაინც ჰკითხა, აინტერესებს თუ არა „კაჭკაჭების" თავკაცობა, რასაც მწვრთნელმა „ჰიპოთეტური საკითხი" უწოდა.

„ნიუკასლელთა მწვრთნელის თანამდებობასთან არაფერი მაკავშირებს — მიუგო რედნაპმა — თავს სამხრეთ სანაპიროზეც ჩინებულად ვგრძნობ. „ნიუკასლიდან" არავინ შემხმიანებია. ერთი სიტყვით, ამ საკითხის შესახებ ვერაფერს გიპასუხებთ".

მაგრამ, ამ განცხადებების მიუხედავად, ზოგიერთმა ტოტალიზატორმა რედნაპი „ნიუკასლის" ახალი მწვრთნელობის ყველაზე სავარაუდო კანდიდატად გამოაცხადა. მეტიც, რამდენიმე ინგლისური გაზეთის ცნობით, „ნიუკასლის" თავმჯდომარემ მაიკ ეშლიმ რედნაპისთვის თავისი პირადი თვითმფრინავიც კი გაამზადა.

რედნაპის გარდა „კაჭკაჭების" შესაძლო თავკაცად ასახელებენ მარტინ იოლს, ჟოზე მაურინიუს, იურგენ კლინსმანს, მარჩელო ლიპის და თვით ინგლისის ნაკრების ბოლო მწვრთნელს სტივ მაკლარენს.

ჯერჯერობით კი, „მანჩესტერ იუნაიტედთან" დღევანდელ თამაშს ნიუკასლელთა ასისტენტი-მწვრთნელი ნაიჯელ პირსონი გაუძღვება.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: მისტერ ეშლის ახლო მეგობარი, „ტოტენჰემ ჰოთსპურის" ვიცე-პრეზიდენტი პოლ კიმსლი არაორაზროვნად მიანიშნებს, რომ „ნიუკასლის" ახალი მწვრთნელის ვინაობა სულ მალე გაირკვევა.

„მაიკი ჭკვიანი ადამიანია, მას მწყობრი გეგმა აქვს და დარწმუნებული ვარ, კარგად იცის რასაც აკეთებს. „ნიუკასლ იუნაიტედის" ფანი რომ ვიყო, ბედნიერი ვიქნებოდი, რადგან მწამს, ეშლი სულ მალე საუკეთესო გადაწყვეტილებას მიიღებს. ის შემტევი ფეხბურთისკენ და გამარჯვებებისკენ არის მოწოდებული".

ჰა, ვის შეიძლება გულისხმობდეს მისტერ კიმსლი? სავარაუდოდ, ისევ და ისევ ჰერი რედნაპს, რომლის დიდი თაყვანისმცემელიც გახლავთ და მარტინ იოლის გაშვების შემდეგ ყველა ღონეს ხმარობდა, რათა „ტოტენჰემის" სათავეში ხუანდე რამოსი კი არა, რედნაპი მისულიყო.

ასე და ამგვარად, „ნიუკასლ იუნაიტედმა" ბოლო 10 წელიწადში მეექვსე მწვრთნელი უნდა დანიშნოს.

ისევ კიმსლი: „სხვათა შორის, ალარდაისი მაიკის არჩევანი არასდროს ყოფილა. მან ამ მწვრთნელს უბრალოდ დრო მისცა, რათა მას ეჩვენებინა რისი შემძლე იყო. ბოლო ხანს კი ეშლიმ აშკარად დაინახა, რომ გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე საუკეთესო გამოსავალი მწვრთნელის შეცვლა იქნებოდა. მაიკმა „ნაუკასლ იუნაიტედში" 250 მილიონი გირვანქა უკვე ჩადო და თუ თავისთვის სასურველ მწვრთნელსაც მიიყვანს, მზად არის კიდევ უფრო მეტი გაიღოს".

**პაპუნა ქედია**

### ნიუკასლის მწვრთნელები ბოლო 10 წელიწადში

**კენი დალგლიში**
იანვარი 1997 - აგვისტო 1998
**რუუდ გულიტი**
აგვისტო 1998 - აგვისტო 1999
**ბობი რობსონი**
აგვისტო 1999 - აგვისტო 2004
**გრემ სუნესი**
აგვისტო 2004 - თებერვალი 2006
**გლენ რიოდერი**
თებერვალი 2006 - მაისი 2007
**სემ ალარდაისი**
მაისი 2007 - იანვარი 2008

# მალდინიმ გემშვიდობებ დაანწყო

## კაკას ფიქრები: კაპიტანი ვიქნები

**ლეგენდარული** იტალიელი მცველი პაოლო . მალდინი კარიერის დასრულებას ბოლო ბოლო მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ აპირებს. „მილანის" ვეტერანი კაპიტანი კლუბში ერთ-ერთ თანამდებობაზე დარჩენას აპირებს და ამბობს, რომ ფეხბურთის გარეშე ძალიან გაუჭირდება, მაგრამ დროს თავისი მიაქვს...

„ჩემ უმცროს ვაჟს ეგონა, რომ კარიერა უკვე დავასრულე, როცა მაიამიში საახალწლო არდადეგებზე წავედით. უფროსმა იცის რაშიც არის საქმე და სურს, რომ თამაში რაც შეიძლება დიდ ხანს გავაგრძელო. ეს მეც მინდა, მაგრამ ჩემი კარიერის შემხედვარე მეტს ვერაფერს ვინატრებ და მოვითხოვ. მართალია, ძალიან მომენატრება ვარჯიშები, თამაში, მაგრამ მომიწევს ამ აზრთან შეგუება და ამ ნაბიჯის გადასადგმელად ფაქტობრივად უკვე მზად ვარ. მინდა ცხოვრება ჩემ ქალაქში გავაგრძელო და იმედია, ჩემს კლუბშივე გავაგრძელებ მუშაობას. ვფიქრობ, შემიძლია რაიმე სასარგებლო საქმის კეთება „მილანისთვის". ოღონდ, მინდა აქტიური ვიყო და არა რომელიმე ფორმალური თანამდებობა მქონდეს. ამ ყველაფერს ადრიანო გალიანისა და სილვიო ბერლუსკონისთან ერთად გადავწყვეტ, როცა დრო მოვა" — განაცხადა მალდინიმ.

მალდინის დებიუტი სერია A-ში 1985 წლის 20 იანვარს „უდინეზესთან" შეხვედრაში შედგა. ბედის ირონიით, წელს 20 იანვარს „მილანი" სწორედ „უდინეზეს" ხვდება და მალდინი ალბათ ითამაშებს კიდეც ამ შეხვედრაში.

„ეს არ არის ერთადერი უცნაური და სიმბოლური დამთხვევა ჩემს კარიერაში და ვფიქრობ, არც ბოლო. ცხადია, ჩემთვის განსაკუთრებული მატჩი იქნება, რადგან ყველაფერი „უდინეზესთან" იმ შეხვედრით დაიწყო" — თქვა მალდინიმ.

მალდინის წასვლის შემდეგ „მილანის" კაპიტნობისთვის რამდენიმე ფეხბურთელი „იბრძოლებს". ამჟამად სამი მთავარი კანდიდატია — მასიმო ამბროზინი, ჯენარო გატუზო და კაკა. „როსონერის" ბრაზილიელმა ლიდერმა გაამხილა, რომ კლუბის კაპიტნის სამკლავურის მორგება ძალიან სურს.

კაკა: „კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე მაქვს და როგორც უკვე არაერთხელ ვთქვი, მინდა, აქ რაც შეიძლება დიდი ხნით დავრჩე. ვადასტურებ, რომ მსურს, ერთ დღეს „მილანის" კაპიტანი გავხდე. რასაკვირველია, გუნდში არსებული იერარქიული წესების სრული დაცვით და იმ შემთხვევაში თუ თანაგუნდელებს საწინაალმდეგო არაფერი ექნებათ."

**გიორგი ქაქაბაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სალამ, აბდულ-სალამ!



**13 წელიწადში** რვა გუნდის გამომცვლელმა ნიკოლა ანელკამ გუშინ მეცხრეს მიაშურა — „ბოლტონის" ფორვარდი „ჩელსიში" გადავიდა. რომან აბრამოვიჩმა ფრანგი თავდამსხმელის სანაცვლოდ 15 მილიონი გირვანქა გაიმეტა.

კლუბებს შორის ვაჭრობა ერთი კვირის წინ და 11 მილიონიდან დაიწყო. „ბოლტონის" შეფებმა თავისი გაიტანეს და რუს მილიარდელს ოთხი კიდევ დაამატებინეს. „ჩელსის" სხვა გზა არც ჰქონდა, რადგან აფრიკის ეროვნებათა თასის გამო ერთი თვით ორი ფორვარდი დააკლდა: დიდიე დროგბა და სალომონ კალუ. დანაკლისს შევსება უნდოდა.

ფრანგმა ფეხბურთელმა „ჩელსისთან" ოთხწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა და ალბათ, „ტოტენჰემთან" დღესვე ითამაშებს. „ჩელსი" და „ბოლტონი" ადასტურებენ, რომ კლუბებს შორის შეთანხმება შედგა და ნიკოლა ანელკა დღეიდან ლონდონელი გახდა" — ნათქვამია ჩელსელთა ოფიციალურ განაცხადებში.

ფეხბურთელს რომ გაუგია, მოსალოდნელი ტრანსფერის ამბავი, მწვრთნელ გარი მეგსონისთვის უთქვამს, „ჩელსიში" გადასვლა ჩემი ოცნებაა და ნუ დამაკავებთო.

„ანელკას უკეთეს გუნდში თამაში სურდა და ხელს ვერ შევუშლიდით" — ბრძანა მეგსონმა.

18 წლის ანელკამ კარიერა პსჟ-ში დაიწყო, რასაც „არსენალი", მადრიდის „რეალი", ისევ პსჟ, „ლივერპული", „სიტი", „ფენერბაჰჩე" და „ბოლტონი" მოჰყვა. ამ ხნის განმავლობაში საკლუბო მატჩებში ანელკამ 138 გოლი გაიტანა, ნაკრებში მისი მონაგარი თერთმეტია, „ბოლტონში" კი სეზონნახევარში 21 გოლი მიითვალა.

ისლამის მიღების შემდეგ ნიკოლა ანელკას მეგობრები აბდულ-სალამ ბილალს ეძახიან.

**ვაჟა ხუციშვილი**



# რა თქმა უნდა, პიერლუიჯი

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ ბოლო 20 წლის საუკეთესო მსაჯთა რეიტინგი გამოაქვეყნა. ქულების დარიცხვისას კი მსაჯთა ნამსახურები მატჩების რაოდენობა და ტურნირთა მნიშვნელობები გაითვალისწინეს.

საბოლოოდ კი ასეთი სია შედგა:

პიერლუიჯი კოლინა (იტალია) — 86
მარკუს მერკი (გერმანია) — 65
პეტერ მიკელსენი (დანია) — 64
შანდორ პული (უნგრეთი) — 50
კიმ მილტონ ნილსენი (დანია) — 50
ანდრეს ფრისკი (შვედეთი) — 40
პიერლუიჯი პაირეტო (იტალია) — 37
მიშელ ვოტრო (საფრანგეთი) — 36
ურს მაიერი (შვეიცარია) — 34
ჟოელ კინიო (საფრანგეთი) — 32

| XXII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| არსენალი | : | ბირმინგემი |
| ასტონ ვილა | : | რედინგი |
| დერბი | : | უიგანი |
| ევერტონი | : | სიტი |
| მანჩესტერი | : | ნიუკასლი |
| მიდლსბრო | : | ლივერპული |
| ვესტ ჰემი | : | ფულემი |
| **ხვალ** | | |
| ბოლტონი | : | ბლექბერნი |
| სანდერლენდი | : | პორტსმუთი |
| **ზეგ** | | |
| ჩელსი | : | ტოტენჰემი |

## ინგლისი

# აფრიკა გაიქრიფა

**კოლო ტურე**, ემანუელ ებუ და ალექსანდრ სონგი — „არსენალს" ეს სამი ფეხბურთელი დააკლდება „ბირმინგემთან" მატჩში, რადგან აფრიკის ეროვნებათა თასზე წავიდნენ. ამ მცველების გარდა „მეთოფეებს" ფილიპ სენდეროსი და იოან ჯურუ ტრავმირებული ჰყავთ და მხოლოდ უილიამ გალასია ფორმაში. ამის გამო შესაძლოა, დაცვაში გაელ კლიჩიმ, ბაკარი სანიამ და ჟილბერტო სილვამ ითამაშონ. მსუბუქად დაშავებულნი არიან რობინ ვან პერსი და თეო უოლკოტი.

„არსენალმა" ბოლო ოთხი მატჩიდან „ბირმინგემს" სამჯერ მოუგო და გოლი არ გაუშვია.

ზედიზედ სამ ტურში დამარცხებული „ნიუკასლი", რომელსაც მწვრთნელი სამი დღის წინ მოუხსნეს, „მანჩესტერს" ეწვევა. ნიუკასლელებს დროებით ნაიჯელ პირსონი უთავკაცებს, ვინც გათავისუფლებული სემ ალარდაისის თანაშემწედ მუშაობდა. ისევე როგორც „არსენალს", აფრიკის თასის გამო „ნიუკასლსაც" სამი ფეხბურთელი დააკლდება — აბდულაიე ფაიე, ჰაბიბ ბეიე და ჯერემი ნჯიტაპი. სტივენ კარი ტრავმირებულია, ხოლო ემრე და ჯეიმს მილნერი მომჯობინდნენ. ნიგერიელი ფორვარდი ობაფემი მარტინსი დღეს ითამაშებს და მერე გაემგზავრება აფრიკის თასზე.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში „მანჩესტერმა" „ნიუკასლს" ათიდან რვაჯერ მოუგო და მხოლოდ ორჯერ დამარცხდა. ალექს ფერგიუსონის გუნდს ალბათ ამჯერადაც არ გაუჭირდება „კაჭკაჭების" დამარცხება.

ყველაზე მეტად აფრიკის თასმა „ჩელსი" აზარალა, რადგან დიდიე დროგბას, სალომონ კალუს, ჯონ ობი მიკელისა და მიკაელ ესიენის გარეშე დარჩა. ჯონ ტერი, ფრენკ ლამპარდი და ანდრეი შევჩენკო დაშავებულნი არიან, ხოლო პეტერ ჩეხი გამოკეთდა და შესაძლოა, ძირითად შემადგენლობაში იყოს. აი, ასეთი „ჩელსი" დაუხვდება ლონდონურ დერბიში „ტოტენჰემს", რომელსაც „სტემფორდ ბრიჯზე" 1990 წლის თებერვლის აქეთ არ მოუგია. „მამლებს" კი დაცვაში აქვთ პრობლემები, რადგან ბოლო ოთხ ტურში ცხრა გოლი გაუშვეს.

„ლივერპულმა" ზედიზედ ორ ტურში ფრე ითამაშა, რის გამოც მეოთხედან მეხუთე ადგილზე დაქვეითდა. რაფაელ ბენიტესის გუნდს უხერხულ მეტოქესთან „მიდლსბროსთან" სტუმრობა ელის, სადაც ხუთი წელია, გოლი ვერ გაუტანია. გუშინ კი ლივერპულელებმა რუსული „ზენიტიდან" სლოვაკი მცველი მარტინ შკრტელი გადაიყვანეს.

„ევერტონს" „სიტისთან" სამი აფრიკელი დააკლდება — ჟოზეფ იობო, იაკუბუ აიეგბენი და სტივენ პიენაარი. ნახევარმცველმა მიკელ არტეტამ სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და კვლავ ძირითად შემადგენლობაში იქნება. „სიტის", რომელსაც უკვე ხუთი ტურია, არ წაუგია და მეოთხე ადგილს უწია, ტრავმამოშუშებული ელანო დაუბრუნდება. ბრაზილიელმა „ვესტ ჰემთან" სათასო შეხვედრა ტრავმის გამო გამოტოვა და ახლა უკვე ფორმაშია.

**ვაჟა ხუციშვილი**



მარტინ შკრტელი და რაფაელ ბენიტესი

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არსენალი | | 2:2 | | | 3:1 | 1:0 | | | | | | | | 2:0 | | | 2:1 | 3:2 | 2:0 | 5:0 |
| 2 | მანჩესტერი | | | 2:0 | | | | | | 2:0 | | | 0:0 | 1:0 | | | 4:1 | 2:0 | 1:0 | 4:0 | 4:1 |
| 3 | ჩელსი | | | | | 1:0 | 6:0 | 1:1 | | 0:0 | 1:0 | | | | | 3:2 | | 0:0 | 2:0 | | |
| 4 | ლივერპული | 1:1 | | 1:1 | | | | | | | | | | 2:2 | 4:0 | 0:0 | | 2:0 | | | 6:0 |
| 5 | პორტსმუთი | | 1:1 | | 0:0 | | 0:0 | 0:0 | | | 0:0 | | 7:4 | | 3:1 | | | | | | |
| 6 | სიტი | | 1:0 | | | | | | 1:0 | | | 3:1 | 2:1 | | | 1:0 | 3:1 | | 1:0 | | 1:0 |
| 7 | ევერტონი | | 0:1 | | 1:2 | | | | | 1:1 | | | | | | 3:1 | 2:0 | 3:0 | 7:1 | 2:1 | |
| 8 | ასტონ ვილა | 1:2 | 1:4 | 2:0 | 1:2 | 1:3 | | 2:0 | | | 1:0 | | | | | | | 2:1 | | | 2:0 |
| 9 | ბლექბერნი | 1:1 | | | 0:0 | 0:1 | 1:0 | | 0:4 | | 0:1 | 3:1 | 4:2 | | | 2:1 | | | | | |
| 10 | ვესტ ჰემი | 0:1 | | | | | 0:2 | | | | | | | 1:1 | 1:1 | | 3:0 | | 3:1 | 1:1 | |
| 11 | ნიუკასლი | 1:1 | | | 0:3 | 1:4 | | 3:2 | 0:0 | | 3:1 | | | 3:1 | | 2:1 | | | | 1:0 | |
| 12 | რედინგი | 1:3 | | 1:2 | 3:1 | | | 1:0 | | | 0:3 | 2:1 | | | | | 1:1 | | | 2:1 | 1:0 |
| 13 | ტოტენჰემი | 1:3 | | | | | 2:1 | 1:3 | 4:4 | 1:2 | | | | | | 2:3 | | | | 4:0 | 4:0 |
| 14 | ბოლტონი | | 1:0 | 0:1 | | | | 1:2 | 1:1 | | | 1:3 | 3:0 | 1:1 | | | 0:0 | | | 4:1 | |
| 15 | ბირმინგემი | | 0:1 | | | 0:2 | | | 1:2 | | 0:1 | | | | 1:0 | | | | 2:2 | 3:2 | |
| 16 | მიდლსბრო | 2:1 | | 0:2 | | | | | 0:3 | 1:2 | | 2:2 | | 1:1 | | 2:0 | | | 2:2 | | |
| 17 | ფულემი | | | | | 0:2 | 3:3 | | | 2:2 | | | 3:1 | 3:3 | 2:1 | | 1:2 | | | | 0:0 |
| 18 | სანდერლენდი | | | | 0:2 | | | | | 1:2 | | 1:1 | 2:1 | 1:0 | | | | 1:1 | | | 1:0 |
| 19 | უიგანი | | | 0:2 | 0:1 | 0:2 | 1:1 | | | | | | | | | | 1:0 | 1:1 | 3:0 | | |
| 20 | დერბი | | | 0:2 | | 2:2 | | 0:2 | | | 0:5 | 1:0 | | | 1:1 | 1:2 | | | | | |

| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არსენალი | 16 | 11 | 4 | 1 | 33:14 | 37 | 7 | 1 | 0 | 20:6 | 22 | 4 | 3 | 1 | 13:8 | 15 |
| 2 | მანჩესტერი | 16 | 11 | 3 | 2 | 29:8 | 36 | 8 | 1 | 0 | 20:2 | 25 | 3 | 2 | 2 | 9:6 | 11 |
| 3 | ჩელსი | 16 | 10 | 4 | 2 | 24:9 | 34 | 5 | 3 | 0 | 14:3 | 18 | 5 | 1 | 2 | 10:6 | 16 |
| 4 | ლივერპული | 15 | 8 | 6 | 1 | 27:9 | 30 | 3 | 4 | 0 | 16:4 | 13 | 5 | 2 | 1 | 11:5 | 17 |
| 5 | პორტსმუთი | 16 | 8 | 6 | 2 | 28:14 | 30 | 2 | 5 | 0 | 11:6 | 11 | 6 | 1 | 2 | 17:8 | 19 |
| 6 | სიტი | 16 | 9 | 3 | 4 | 20:17 | 30 | 8 | 0 | 0 | 13:3 | 24 | 1 | 3 | 4 | 7:14 | 6 |
| 7 | ევერტონი | 16 | 8 | 3 | 5 | 29:16 | 27 | 5 | 1 | 2 | 19:7 | 16 | 3 | 2 | 3 | 10:9 | 11 |
| 8 | ასტონ ვილა | 16 | 8 | 3 | 5 | 27:19 | 27 | 5 | 0 | 4 | 13:12 | 15 | 3 | 3 | 1 | 14:7 | 12 |
| 9 | ბლექბერნი | 16 | 7 | 5 | 4 | 20:19 | 26 | 4 | 2 | 3 | 11:11 | 14 | 3 | 3 | 1 | 9:8 | 12 |
| 10 | ვესტ ჰემი | 15 | 6 | 4 | 5 | 20:12 | 22 | 2 | 3 | 2 | 9:7 | 9 | 4 | 1 | 3 | 11:5 | 13 |
| 11 | ნიუკასლი | 16 | 6 | 4 | 6 | 23:26 | 22 | 5 | 2 | 2 | 14:13 | 17 | 1 | 2 | 4 | 9:13 | 5 |
| 12 | რედინგი | 16 | 5 | 2 | 9 | 21:33 | 17 | 5 | 1 | 3 | 12:12 | 16 | 0 | 1 | 6 | 9:21 | 1 |
| 13 | ტოტენჰემი | 16 | 3 | 6 | 7 | 28:29 | 15 | 3 | 1 | 4 | 19:16 | 10 | 0 | 5 | 3 | 9:13 | 5 |
| 14 | ბოლტონი | 16 | 3 | 5 | 8 | 16:23 | 14 | 3 | 3 | 3 | 12:9 | 12 | 0 | 2 | 5 | 4:14 | 2 |
| 15 | ბირმინგემი | 16 | 4 | 2 | 10 | 17:26 | 14 | 2 | 1 | 4 | 7:10 | 7 | 2 | 1 | 6 | 10:16 | 7 |
| 16 | მიდლსბრო | 16 | 3 | 5 | 8 | 15:28 | 14 | 2 | 3 | 3 | 10:13 | 9 | 1 | 2 | 5 | 5:15 | 5 |
| 17 | ფულემი | 16 | 2 | 7 | 7 | 18:27 | 13 | 2 | 4 | 2 | 14:14 | 10 | 0 | 3 | 5 | 4:13 | 3 |
| 18 | სანდერლენდი | 16 | 3 | 4 | 9 | 15:31 | 13 | 3 | 2 | 2 | 7:7 | 11 | 0 | 2 | 7 | 8:24 | 2 |
| 19 | უიგანი | 16 | 2 | 3 | 11 | 12:30 | 9 | 2 | 2 | 3 | 6:7 | 8 | 0 | 1 | 8 | 6:23 | 1 |
| 20 | დერბი | 16 | 1 | 3 | 12 | 6:38 | 6 | 1 | 2 | 4 | 5:14 | 5 | 0 | 1 | 8 | 1:24 | 1 |

# რომ არ გავეშვით...

**როგორც** იცით, დიდიე დეშანი ის მწვრთნელია, რომელმაც ტურინის „იუვენტუსი“ წინა სეზონში სერია B-დან A-ში დააბრუნა, მაგრამ იგი მაინც დაითხოვეს. ფრანგი, ცხადია, განაწყენებულია და პერიოდულად „ბებერი ქალბატონის“ ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ მკვახე კომენტარებს აკეთებს. ამჯერად „იუვეს“ ექსთავკაცმა და ექსფეხბურთელმა ის მოთამაშეები დაასახელა რომელთა ყიდვასაც ეცდებოდა „ბიანკონერიდან“ რომ არ გაეშვათ.

„სერხიო ალმირონი და ტიაგუ მენდეში ჩემ სიაში არ იყვნენ — ამბობს დეშანი — მიუხედავად იმისა, რომ კლუბს ძალიან სურდა მათი შეძენა და ჩემდა დაუკითხავად შეათანხმეს ყველაფერი. როგორც ხედავთ, ჯერჯერობით დიდად ვერცერთმა მათგანმა ვერ გაამართლა. მე ახალი გუნდის გასაკეთებლად სხვა მოთამაშეებ მინდოდა, მაგალითად — ლუკა ტონი, კოლო ტურე, გაბრიელ მილიტო...“

სხვათა შორის, „იუვედან“ წასვლის შემდეგ ახალგაზრდა და ნიჭიერი სპეციალისტი უმუშევარია. ის მიიჩნევს, რომ ფეხბურთს მომავალ ზაფხულს დაუბრუნდება, რადგან რომელიმე გუნდის შუა სეზონში ჩაბარების იდეა დიდად არ ხიბლავს.

„ოთხ ენაზე ვლაპარაკობ, ასე რომ, ეს პრობლემა არ არის და მზად ვარ ნებისმიერი წინადადება განვიხილო. უბრალოდ სათანადოდ საინტერესო შემოთავაზებას ველოდები. არა მგონია, რომელიმე გუნდს ხელი სეზონის შუაში მოვკიდო. ამიტომ საქმეს ალბათ მომავალ ზაფხულს დავუბრუნდები“ — დასძინა დეშანმა.

**კოკი კანდელაკი**



# ელკანის პირობა და სისოკო

**ტურინის** „იუვენტუსის“ ერთ-ერთმა მფლობელმა ჯონ ელკანმა „ბებერი ქალბატონის“ ფანებს პირობა მისცა, აუცილებლად გავძლიერდებით და პირველი, ვისაც დავიმატებთ, ალბათ, მოჰამედ სისოკო იქნებაო.

„ბიანკონერის“ ნახევარდაცვაში პრობლემები აქვს. კლუბს ზაფხულში ნაყიდმა ტიაგო მენდეშმა და სერხიო ალმირონმა ვერ გაუმართლეს. ახლა ტურინელები ისევ სისოკოზე გადაერთვნენ. „ლივერპულის“ მალელი ლეგიონერის ყიდვა მათ ადრეც სურდათ, მაგრამ მაშინ არაფერი გამოუვიდათ.

ამბობენ, „იუვენტუსსა“ და „ლივერპულს“ შორის შეთანხმება თითქმის მიღწეულია და იტალიურ კლუბს სისოკო 10-11 მილიონი ევრო დაუჯდებაო.

„ჩვენ აუცილებლად გავძლიერდებით. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის, სეზონს მშვენივრად ვატარებთ — თუმც ეს არ ნიშნავს, რომ რამდენიმე ახალი მაღალი კლასის მოთამაშე არ გვჭირდება. მით უმეტეს, რომ მჯერა, მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგას დავუბრუნდებით. ნამდვილად დიდი შანსია, სისოკო ჩვენი პირველი შენაძენი გახდეს, მაგრამ როცა საქმე ყიდვა-გაყიდვას ეხება, წინასწარ ლაპარაკი სწორი არ არის“ — თქვა ელკანმა.

**გიორგი კაკაბაძე**

| XVIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ემპოლი | : | რეჯინა |
| კატანია | : | იუვენტუსი |
| **ხვალ** | | |
| ატალანტა | : | რომა |
| კალიარი | : | უდინეზე |
| ლაციო | : | ჯენოა |
| მილანი | : | ნაპოლი |
| პარმა | : | ფიორენტინა |
| სამპდორია | : | პალერმო |
| სიენა | : | ინტერი |
| ტორინო | : | ლივორნო |

## იტალია

# ინტერი შარშანდელ სკუდეტოს უბრუნდება

**საშობაო**-საახალწლო შესვენების შემდეგ სერია A ბრუნდება. 17 ტურის შემდეგ ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი და ჯერაც დაუმარცხებელი მილანის „ინტერი“ გასავარდნ ზონაში მყოფ „სიენას“ სტუმრობს. რობერტო მანჩინის განკარგულებაში კვლავ ვერ არიან ლუიშ ფიგუ, პატრიკ ვიეირა და დეიან სტანკოვიჩი. მცირე ტრავმა აქვს დავიდ სუაზოსაც და ჰონდურასელს ალბათ ტოსკანელებთან მატჩის გამოტოვება მოუწევს.

წინასწარი ინფორმაციით, მანჩინი თავდასხმაში ზლატან იბრაჰიმოვიჩისა და ხულიო კრუზის წყვილს ათამაშებს.

კრისტიან კივუს კიდევ ერთხელ მოუწევს ნახევარმცველის ფუნქციის თავზე აღება. ხოლო ლუის ხიმენესს „ტრექვატრისტას“ ანუ გამთამაშებლის პოზიციაზე ვიხილავთ. სხვათა შორის, იტალიელი ჟურნალისტების ცნობით, ჩილელი დუბაიში შეკრებაზე ძალიან კარგად გამოიყურებოდა.

აღსანიშნავია, რომ წინა სეზონში „ნერაძურიმ“ „არტემიო ფრანკიზე“ „სიენას“ 2:1 მოუგო მცველ მარკო მატერაცის დუბლით და მილანელებმა სწორედ იმ გამარჯვებით გაინაღდეს სკუდეტო.

„დუბაიში გავლილი შეკრებით კმაყოფილი ვარ. ამხანაგური ტურნირის მოგებაც გვინდოდა, მაგრამ ფინალში ბრაზილიურ „ინტერნასიონალთან“ დავმარცხდით. თუმცა ეს ტრაგედია არ არის. მთავარია, ბიჭებმა თავი გამოიჩინეს და „სიენას“ აუცილებლად უნდა მოვუგოთ, თუმცა ისიც ვიცით, რომ იოლი მატჩი არ გველის. უახლოეს მდევარ „რომასთან“ შვიდქულიანი უპირატესობა კი გვაქვს, მაგრამ ეს ჯერ არაფერს ნიშნავს“ — განაცხადა მანჩინიმ.

„რომას“ „ინტერთან“ საშინაო 1:4-ის ანუ მეექვსე ტურის შემდეგ სერია A-ში აღარ წაუგია. თუმცა დედაქალაქელებმა ვერ მოუგეს ისეთ კლუბებს, როგორებიც „ტორინო“, „ნაპოლი“, „ემპოლი“ და „ლივორნო“ არიან, ასე კი ჩემპიონობისთვის ბრძოლა ლუჩანო სპალეტის გუნდს ძალიან გაუჭირდება. ეს თავად „ჯალოროსისაც“ კარგად ესმის და დედაქალაქელები ყველანაირად ეცდებიან, რომ ბერგამოდან სამი ქულა წაიღონ. თუმცა „ატალანტასთან“ „აძური დიტალიაზე“ თამაში ადვილი როდია...

სტუმრებს მარკო კასეტი არ ეყოლებათ. მასპინძლები კი კრისტიანო დონის, კლაუდიო რივალტას, ლეონარდო ტალამონტის, კოშტინიასა და სიმონე ინძაგის მოისაკლისებენ.

„იუვენტუსი“ „კატანიას“ სტუმრობს და სამ ქულასაც უმიზნებს, მაგრამ სიცილიელებს თავისი გეგმები აქვთ...

„ყველა მატჩი „იუვენტუსის“ წინააღმდეგ განსაკუთრებულია. „ბიანკონერი“ ჯერ არასდროს დამიმარცხებია, მაგრამ მჯერა, თუ შესაძლებლობებს სრულად გამოვავლენთ, ამ შეხვედრაში სასურველი შედეგის მიღწევას შევძლებთ“ — თქვა „კატანიას“ მწვრთნელმა სილვიო ბალდინიმ.

„ჩვენ ისევ გვჯერა რომ მიმდინარე სეზონში სკუდეტოსთვის ბრძოლა ძალგვიძს და შესაბამისად, „კატანიასთან“ მატჩში მხოლოდ სამი ქულა დაგვაკმაყოფილებს. სიცილიაზე მოპოვებული გამარჯვება წინა წელს სწორად დაწყებული საქმის კარგადვე გაგრძელება იქნება. თუმცა ისიც გვესმის, რომ საკმაოდ რთული მატჩი გველის“ — ეს კი „იუვეს“ ფრანგი ფორვარდის, ამჟამად 13 გოლით სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირის დავიდ ტრეზეგეს სიტყვებია.

„კატანიას“ დავიდე ბაიოკო და ჯენარო სარდო არ ეყოლება. ტურინელებს კი მაურო კამორანეზი, ჯონათან ძებინა და ჟორჟე ანდრადე დააკლდებათ.

მიმდინარე სერია A-ში „მილანმა“ შინ 8 მატჩი გამართა, აქედან ერთში „როსონერი“ „ინტერთან“ სეზონის პირველ ქალაქურ დერბიში ფორმალური სტუმრის სტატუსით გახლდათ. ასეა თუ ისე, კარლო ანჩელოტის შეგირდებს „სან სიროზე“ ჯერ არ მოუგიათ და ნავსის გატეხვას „ნაპოლისთან“ შეხვედრაში ყველანაირად ეცდებიან.

ნეაპოლელებთან მატჩში ელიან ალეშანდრე პატოს ნანატრ დებიუტს. წინასწარი ინფორმაციით ახალგაზრდა ბრაზილიელი შეტევაში ალბერტო ჯილარდინოს გაუწევს მეწყვილეობას. მათზე ოდნავ უკან კი კაკა იქნება თუ მას მცირე ტრავმა ხელს არ შეუშლის. რონალდო ჯერ საუკეთესო ფორმაში არ არის, კლარენს ზეედორფიც ბოლომდე არ მოშუშებულა, დაშავებულია ფილიპო ინძაგიც, ხოლო ჯენარო გატუზოს დისკვალიფიკაცია აქვს. სტუმრებს მარსელო ზალაიეტა და მანუელე ბლაზი დააკლდებათ.

ოთხეულში მოხვედრისთვის მებრძოლ „ფიორენტინას“ „პარმასთან“ თამაში ტრადიციულად უჭირს და „იებს“ „ენიო ტარდინიზე“ ახლაც გვარიანი ოფლისღვრა მოუწევთ. ფლორენციელთა წამყვანი მეკარე სებასტიან ფრეი დაშავებულია და ალბათ ვერ ითამაშებს. მას სავარაუდოდ კრისტიანო ლუპატელი შეცვლის. პარმელებს დომენიკო მორფეო და იგორ ბუდანი არ ეყოლებათ.

ამჟამად მეოთხე ადგილზე მყოფი „უდინეზე“ ბოლოადგილოსან და სერიოზული პრობლემების მქონე „კალიარის“ ხვდება და წესით 3 ქულის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეს, მაგრამ სარდინიელთა ახალ მწვრთნელ დავიდე ბალარდინის თავისი გეგმები აქვს.

საინტერესო მატჩებია „სტადიო ოლიმპიკოზე“, სადაც „ლაციო“ „ჯენოას“ მასპინძლობს და „სტადიო მარასიზეც“, სადაც „სამპდორია“ „პალერმოს“ დაუხვდება.

**გიორგი კაკაბაძე**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინტერი | | | | 1:1 | | | 2:1 | 2:1 | 3:0 | 2:0 | 4:1 | 2:1 | | 3:0 | 4:0 | | | | | | 17 | 13 | 4 | 0 | 37:9 | 43 | 8 | 1 | 0 | 23:5 | 25 | 5 | 3 | 0 | 14:4 | 18 |
| 2 | რომა | 1:4 | | 2:2 | 2:1 | | | 4:4 | | 2:0 | | | | | 3:2 | | | | 3:0 | | 2:0 | 17 | 10 | 6 | 1 | 33:18 | 36 | 5 | 2 | 1 | 19:13 | 17 | 5 | 4 | 0 | 14:5 | 19 |
| 3 | იუვენტუსი | 1:1 | | | 0:1 | | 5:0 | | 1:0 | | | 1:0 | | | | | 5:1 | 3:0 | 2:0 | 4:0 | | 17 | 10 | 5 | 2 | 35:15 | 35 | 7 | 1 | 1 | 22:3 | 22 | 3 | 4 | 1 | 13:12 | 13 |
| 4 | უდინეზე | | | | | | 1:1 | 0:5 | | 3:2 | | | | 2:1 | | 2:1 | | 2:2 | 2:0 | 2:0 | | 17 | 8 | 5 | 4 | 22:21 | 29 | 5 | 2 | 1 | 14:12 | 17 | 3 | 3 | 3 | 8:9 | 12 |
| 5 | ფიორენტინა | 0:2 | 2:2 | 1:1 | 1:2 | | | 1:0 | 2:2 | | | | | | | | | 3:1 | 3:0 | | 5:1 | 17 | 7 | 7 | 3 | 26:16 | 28 | 4 | 3 | 2 | 18:11 | 15 | 3 | 4 | 1 | 8:5 | 13 |
| 6 | პალერმო | 0:0 | 0:2 | | | 2:0 | | 2:1 | | | | | 2:1 | 1:1 | 2:2 | 1:1 | | | | 1:1 | | 17 | 6 | 7 | 4 | 25:27 | 25 | 3 | 5 | 1 | 11:9 | 14 | 3 | 2 | 3 | 14:18 | 11 |
| 7 | ნაპოლი | | | 3:1 | | | | | | 2:0 | 2:0 | 1:2 | | 1:0 | | 1:1 | 1:0 | | | 1:1 | 0:2 | 17 | 6 | 5 | 6 | 25:22 | 23 | 5 | 2 | 2 | 12:7 | 17 | 1 | 3 | 4 | 13:15 | 6 |
| 8 | ატალანტა | | | | 0:0 | | 1:3 | 5:1 | | | | | | 2:0 | 2:1 | 2:2 | | | | | 2:2 | 16 | 5 | 7 | 4 | 23:21 | 22 | 3 | 3 | 1 | 14:9 | 12 | 2 | 4 | 3 | 9:12 | 10 |
| 9 | სამპდორია | | | | | 2:2 | | | 3:0 | | | 0:0 | 0:5 | 3:0 | 0:0 | | | 3:0 | | 3:0 | | 17 | 6 | 3 | 8 | 22:24 | 21 | 4 | 3 | 1 | 14:7 | 15 | 2 | 0 | 7 | 8:17 | 6 |
| 10 | კატანია | | | | 2:0 | 0:1 | 3:1 | | 1:2 | 2:0 | | 0:0 | | | | | 1:0 | 1:0 | | | | 17 | 5 | 6 | 6 | 17:19 | 21 | 5 | 1 | 2 | 10:4 | 16 | 0 | 5 | 4 | 7:15 | 5 |
| 11 | ჯენოა | | 0:1 | | 3:2 | 0:0 | 3:3 | | | | | | 0:3 | 1:0 | | | 1:1 | | 1:3 | | 2:0 | 17 | 4 | 7 | 6 | 16:23 | 19 | 3 | 3 | 3 | 11:13 | 12 | 1 | 4 | 3 | 5:10 | 7 |
| 12 | მილანი | | 0:1 | 0:0 | | 1:1 | | | | | 1:1 | | | 1:1 | | 0:0 | | 0:1 | | | | 14 | 4 | 6 | 4 | 21:12 | 18 | 0 | 5 | 2 | 3:5 | 5 | 4 | 1 | 2 | 18:7 | 13 |
| 13 | პარმა | | 0:3 | 2:2 | | | | | | | 2:2 | | | | | 2:0 | 3:2 | 1:0 | 2:2 | 3:0 | 1:1 | 17 | 4 | 6 | 7 | 19:24 | 18 | 4 | 4 | 1 | 16:12 | 16 | 0 | 2 | 6 | 3:12 | 2 |
| 14 | ლაციო | | | 2:3 | 0:1 | 0:1 | | | | | 2:0 | | 1:5 | 1:0 | | 2:2 | | 0:0 | | | 3:1 | 17 | 4 | 6 | 7 | 19:25 | 18 | 3 | 2 | 4 | 11:13 | 11 | 1 | 4 | 3 | 8:12 | 7 |
| 15 | ტორინო | | 0:0 | 0:1 | | | | | | 1:0 | 1:1 | 1:1 | | | | | | | 1:1 | 2:2 | 2:0 | 17 | 2 | 11 | 4 | 15:20 | 17 | 2 | 5 | 1 | 8:6 | 11 | 0 | 6 | 3 | 7:14 | 6 |
| 16 | ლივორნო | 2:2 | 1:1 | | 0:0 | 0:3 | 2:4 | | 1:1 | 3:1 | | | | | 0:1 | | | | | | | 16 | 3 | 6 | 7 | 19:27 | 15 | 1 | 4 | 3 | 9:13 | 7 | 2 | 2 | 4 | 10:14 | 8 |
| 17 | ემპოლი | 0:2 | 2:2 | | | | 3:1 | 0:0 | 0:1 | | | 1:1 | | | | 0:0 | | | | | 4:1 | 17 | 3 | 6 | 8 | 14:24 | 15 | 2 | 4 | 2 | 10:8 | 10 | 1 | 2 | 6 | 4:16 | 5 |
| 18 | სიენა | | | | | | | 1:1 | 1:1 | 1:2 | 1:1 | | 1:1 | | 1:1 | | 2:3 | 3:0 | | 0:0 | | 17 | 2 | 8 | 7 | 17:25 | 14 | 1 | 6 | 2 | 11:10 | 9 | 1 | 2 | 5 | 6:15 | 5 |
| 19 | რეჯინა | 0:1 | 0:2 | | | 0:0 | | | 1:1 | | 3:1 | 2:0 | | | 1:1 | | 1:3 | | | | | 16 | 2 | 7 | 7 | 12:25 | 13 | 2 | 3 | 3 | 8:9 | 9 | 0 | 4 | 4 | 4:16 | 4 |
| 20 | კალიარი | 0:2 | | 2:3 | | | 0:1 | | | 0:3 | 1:1 | | 1:2 | | | | 0:0 | | 1:0 | | | 17 | 2 | 4 | 11 | 13:33 | 10 | 1 | 2 | 5 | 5:12 | 5 | 1 | 2 | 6 | 8:21 | 5 |

# კუნძულმა მადრიდს სილა გააწნა

**ესპანეთი**

**თასის მერვედფინალი**
**პირველი მატჩები**

**მალიორკა 2:1 რეალი**

1:0 ტრეხო (23), 1:1 იგუაინი (24), 2:1 არანგო (49)

| 11549 | აკადემიკა-სპორტინგი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11550 | ბელენენსეში-ნავალი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11551 | ბენფიკა-ლეიშოეში | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11552 | ბოავიშტა-ლეირია | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11553 | ამადორა-ნასიონალი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11586 | კონია-ბეშიქთაში | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11587 | ბურსა-დენიზლი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11588 | რიზე-გალათასარაი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11589 | კასიმპასა-გაზიანთეპი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11590 | ოსმანსპორი-გენჩლერბირლიგი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11591 | ფენერბაჩე-ისტანბული | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11592 | მანისა-კაისერი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11593 | სივასპორი-ტრაბზონი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11594 | ანკარაგუჩუ-ანკარა | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |







# საუკეთესო შერმადინი და ვეტერანის სადღეგრძელო

„კალათბურთის ფედერაცია სეზონის ბოლოს ტრადიციულად ავლენს საუკეთესო მოთამაშეებს, ჩვენ კი გვინდა, რომ ეს ტრადიცია რადიო „ჯაკომაც“ დაამკვიდროს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გამოკითხვას ყოველი წლის მიწურულს ჩავატარებთ. ვფიქრობ, ეს დიდი სტიმული იქნება მოთამაშეებისთვის და ქართული კალათბურთის განვითარებასაც გვარიანად წაადგება. თუკი სხვა ორგანიზაციებიც გამოჩნდებიან, რომლებიც ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშეებს გამოარჩევენ და დააჯილდოებენ, ვფიქრობ, ამას ყველა მიესალმება“ — ამ სიტყვებით გახსნა ჯამლეტ ხუხაშვილმა რადიო „ჯაკოს“ დაჯილდოება, რომელიც წლეულს პირველად გაიმართა და მომავალში ტრადიციული გახდება.

დაჯილდოება ტყუილად არ უხსენებია რადიო „ჯაკოს“ ხელმძღვანელ ჯამლეტ ხუხაშვილს. მის მიერ კლუბ „თორმეტ მაგიდაში“ მოწყობილ საღამოზე უამრავი საჩუქარი ჩამოურიგეს როგორც გამოკითხვაში გამარჯვებულ მოთამაშეებს, ასევე მწვრთნელებს, მსაჯებს, დუბლიორ კალათბურთელებს, ვეტერანებსა და სპორტულ ჟურნალისტებს.

სანამ გამარჯვებულთა შესახებ მოგითხრობდეთ, იმ საზეიმო და წმინდა სპორტულ განწყობაზე გვინდა მოგახსენოთ, რომელიც „თორმეტ მაგიდაში“ სუფევდა. კალათბურთში მოტრიალე ხალხთან ერთად, საღამოს სტუმრები გახლდნენ ვეტერანი კალათბურთელებიც. მათგან ერთს გამოვარჩევთ — ცნობილ ქართველ მოთამაშესა და მწვრთნელ ლევან ინწკირველს ახლახან 80 წელი შეუსრულდა და რადიო „ჯაკომაც“ შეძლებისდაგვარად პატივი სცა ღვაწლმოსილ იუბილარს.

ხუხაშვილმა და ინწკირველის თანაგუნდელმა ვაჟა ჟღენტმა არაერთი სახალისო ამბავი გაიხსენეს ბატონი ლევანის სპორტული კარიერიდან. კომპანია „ჯეოსპორტმა“ ლევან ინწკირველს სასაჩუქრე ბარათი გადასცა, რომლითაც მას ამ ფირმის საქონლის არჩევა შეეძლება.

ლევან ინწკირველი სპორტული ენციკლოპედიით დაასაჩუქრა ამ წიგნის გამომცემელმა, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა.

სანამ მოთამაშეების დაჯილდოებაზე გადავიდოდა, რადიო „ჯაკოს“ ხელმძღვანელმა ნაირგვარი ფასიანი საჩუქრები გადასცა სუპერლიგის გუნდების მწვრთნელებს და მსაჯებს.

როგორც აღვნიშნეთ, სუპერლიგელებთან ერთად, დუბლიორთა ჩემპიონატის საუკეთესოებიც დააჯილდოვეს. ეს ხუთი ახალგაზრდა — გიორგი პირველაშვილი (მაკაბი), აკაკი დვალიშვილი (ენერჯი-ინვესტი), ტატო თავართქილაძე (თბილისი), ბექა ჩიკვილაძე (თბილისი) და დავით იოსელიანი (მაკაბი) — მსოფლიოს ჩემპიონმა ნიკოლოზ დერიუგინმა დააჯილდოვა და მთავარი მომენტიც დადგა: დარბაზში ბუკლეტები დაარიგეს, რომლებშიც გამოკითხვის შედეგები იყო ჩამოწიკწიკებული. გამოიკითხა 11 მწვრთნელი, 4 კომისარი და 5 სპორტული ჟურნალისტი, რომელთაგან აბსოლუტურმა უმრავლესობამ საუკეთესოდ „მაკაბის“ 216-სანტიმეტრიანი ცენტრი გიორგი შერმადინი აღიარა.

ხმების დათვლის პრინციპი ასეთი იყო: რესპოდენტებს თანმიმდევრობით უნდა დაესახელებინათ 5 საუკეთესო მოთამაშე. პირველს 10 ქულა ეწერებოდა, მეორეს — 8, მესამეს — 6, მეოთხეს — 4 და მეხუთეს — 2.

შერმადინი 17-მა გამოკითხულმა დაასახელა საუკეთესოდ და მან მთლიანობაში 192 ქულა დააგროვა. მას თასი, „ადიდასის“ მაღაზიათა ქსელის მიერ დაწესებული სპორტული წუღები და მთავარი პრიზი „ასუსის“ ფირმის ნოუთბუქი გადაეცა. ეს ფასიანი საჩუქარი მას სპორტის სასახლის ხელმძღვანელობამ გადასცა, რომელსაც თამარ სეფერთელაძე და ლიკა წულაძე წარმოადგენდნენ.

მეორეზე გავიდა „ენერჯი-ინვესტის“ ფეხმარდი გამთამაშებელი ლაშა გამყრელიძე, რომელსაც მაღაზიათა ქსელ „ჩემპიონის“ მფლობელმა უშანგი ყურაშვილმა ოქროს მედალი და ულტრათანამედროვე ველო-ტრენაჟორი გადასცა.

III-IV-V ადგილებზე გასული კოტე ტულუში, რიჩარდ მათიაშვილი და იოვან სტეფანოვი კი „ოლიმპიური ვარსკვლავის“ მფლობელებმა — ზაზა და ლელა რაზიკაშვილებმა ტელევიზორებით დააჯილდოვეს, რაშიც მათ ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაურიც ეხმარებოდა.

საღამო ტკბილი შვედური სუფრით დასრულდა, სადაც, ძირითადად, ლევან ინწკირველის საიუბილეო სადღეგრძელოები დაილია.



რადიო „ჯაკოს“ ვერსიით 2007 წლის სუპერლიგის საუკეთესო **გიორგი შერმადინს** კომენტარი ვთხოვეთ...

— ძალიან გამიხარდა, რომ საუკეთესოდ დამასახელეს. როგორც ჯამლეტ ხუხაშვილი მეუბნებოდა, გამოკითხვაში მე და ლაშა გამყრელიძე ვლიდერობდით და ბოლო მომენტამდე არ იყო გარკვეული, ვინ გაიმარჯვებდა. ჩემი აზრით, ორივე ვიმსახურებდით პირველობას, გამყრელიძე ძალიან კარგი მოთამაშეა...

— ვფიქრობ, ღისრეული ხუთეული შეირჩა. ყველა მოთამაშე აშკარად გამოირჩეოდა გასულ წელს და გარჯაც დაუფასდათ. ეს დიდი სტიმული იქნება ყველა ჩვენთაგანისთვის და, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტი მონდომებით გავაგრძელებთ სუპერლიგაში თამაშს.

**ირაკლი პერტაია**

# ევროლიგა

Euroleague

## პირველი ჯგუფური ეტაპი. XI ტური. 9-10 იანვარი

### A ჯგუფი

**სიენა 83:71 ტაუ**

სიენა: მაკანტირი (21), სატო (15)
ტაუ: რაკოჩევიჩი (23), სპლიტერი (1;)

**პროკომი 79:59 ვირტუსი**

პროკომი: გუროვიჩი (25), დილევიჩი (17)
ვირტუსი: მაკგრატი (14), გარი (9)

**ოლიმპიაკოსი 71:67 ცსკა**

ოლიმპიაკოსი: თეოდორიჩი (20), ბუდურისი (18)
ცსკა: ანდერსენი (21), ლანგდონი (17)

**ოლიმპია 74:84 ჟალგირისი**

ოლიმპია: ბეილი (15), ტეილორი (13)
ჟალგირისი: ბრაუნი (22), იურაკი (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 11 | 9 | 2 | +121 | 20 |
| ოლიმპიაკოსი | 11 | 7 | 4 | +110 | 18 |
| ტაუ | 11 | 7 | 4 | +94 | 18 |
| სიენა | 11 | 7 | 4 | +81 | 18 |
| ჟალგირისი | 11 | 7 | 4 | +17 | 18 |
| ოლიმპია | 11 | 3 | 8 | -106 | 14 |
| პროკომი | 11 | 2 | 9 | -162 | 13 |
| ვირტუსი | 11 | 2 | 9 | -155 | 13 |

### B ჯგუფი

**არისი 69:72 ლიეტუვოს რიტასი**

არისი: მეკი (19), ბოისა (4 წუთი, 0 ქულა)
რიტასი: ბაირამოვიჩი (18), პრაისი (14)

**არმანი 63:72 ციბონა**

არმანი: ვუკჩევიჩი (18), გალინარი (12)
ციბონა: უორენი (27), აიუსო (16)

**მაკაბი 87:68 უნიკახა**

მაკაბი: ფიზერი (1;), ბლუზენტალი (16)
უნიკახა: კუში (17), ჰაისლიპი (13)

**ლე მანი 84:91 ეფესი**

ძირითადი დრო: 80:80
ლე მანი: ბოგავაცი (20), კლეინსი (1.)
ეფესი: გრეგორი (19), პენი (18)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რიტასი | 11 | 9 | 2 | +119 | 20 |
| უნიკახა | 11 | 8 | 3 | +96 | 19 |
| მაკაბი | 11 | 8 | 3 | +27 | 19 |
| ეფესი | 11 | 7 | 4 | +40 | 18 |
| არისი | 11 | 6 | 5 | -13 | 17 |
| ციბონა | 11 | 4 | 7 | -83 | 15 |
| არმანი | 11 | 2 | 9 | -65 | 13 |
| ლე მანი | 11 | 0 | 11 | -121 | 11 |

### C ჯგუფი

**ფენერბაჰჩე 81:68 როანი**

ფენერბაჰჩე: სოლომონი (19), ვაიტი (12)
როანი: სეილერსი (20), რაში (12)

**ბროსე 59:73 რომა**

ბროსე: გარეტი (14), ოკულაია (13)
რომა: ლორბეკი (16), ჰოუკინსი (15)

**პარტიზანი 72:80 რეალი**

პარტიზანი: კეჟმანი (13), პალაციო (13)
რეალი: რეიესი (1:), მუმბრუ (1")

**ბარსელონა 55:56 პანათინაიკოსი**

ბარსელონა: გრიმაუ (17), ბაზილე (7)
პანათინაიკოსი: ცარცარისი (20), სპანულისი (8)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 11 | 10 | 1 | +83 | 21 |
| რეალი | 11 | 8 | 3 | +97 | 19 |
| ბარსელონა | 11 | 8 | 3 | +92 | 19 |
| ფენერბაჰჩე | 11 | 6 | 5 | +7 | 17 |
| რომა | 11 | 4 | 7 | -18 | 15 |
| პარტიზანი | 11 | 4 | 7 | -55 | 15 |
| როანი | 11 | 3 | 8 | -89 | 14 |
| ბროსე | 11 | 1 | 10 | -117 | 12 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

10 იანვარი

**სან ანტონიო 80:90 დეტროიტი**

სან ანტონიო: დანკანი (24 ქულა, 15 მოხსნა, 5 პასი), პარკერი (12)
დეტროიტი: ვოლესი (23 ქულა, 15 მოხსნა), ჰამილტონი (18), პრინსი (17)

**საკრამენტო 116:113 მემფისი**

საკრამენტო: სალმონსი (28 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი), უდრიჰი (25), მილერი (22 ქულა, 10 მოხსნა), გარსია (22)
მემფისი: გაი (31), გასოლი (19), მილერი (18), კონლი (15)

**იუტა 108:86 ფინიქსი**

იუტა: ოქური (20 ქულა, 17 მოხსნა), ბრიუერი (21), ბუზერი (18), უილიამსი (17 ქულა, 11 პასი)
ფინიქსი: ბარბოსა (25), სტუდემაიერი (21 ქულა, 14 მოხსნა)



ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები „ჩელენჯ-ტროფის" ფინალისთვის მზადებას განაგრძობს და ნელ-ნელა ლეგიონერებით ძლიერდება. უკვე თბილისშია ისლანდიურ „სტიარნანში" მოთამაშე 19 წლის რატი მსხვილიძე, ვინც ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ნაკრების ერთ-ერთ ლიდერად მოიაზრება. „ჩელენჯ-ტროფის" ჯგუფური თამაშების დროს რატი ფეხმტკივანი გახლდათ და ბოლომდე თავისი შესაძლებლობები ვერ წარმოაჩინა. ახლა ის ჯანმთრელობას არ უჩივის, კარგ ფორმაშიცაა და ლუქსემბურგის დასამარცხებლადაც ემზადება. ეს ბიჭი დიდი ხანი არ არის, რაც საზღვარგარეთ წავიდა და ამ შორეული ქვეყნის კლუბში საკმაოდ მყარადაც მოიკიდა ფეხი. მწვრთნელებს მისი ეიმედებათ და ინდივიდუალურადაც ამზადებენ. თავადაც ძალიან მონდომებულია და მსოფლიოში უძლიერეს გერმანულ ბუნდესლიგაში თამაშზე ოცნებობს...

რატი გუშინ „სარბიელის" რედაქციაში გვეწვია და საკლუბო და სანაკრებო ამბებზე გვიამბო

# ისლანდიური ცხოვრება და გერმანული ფიქრები

## რატი მსხვილიძე ბუნდესლიგაზე ოცნებობს

— უცხო გარემოს კარგად შევეწყვე. მართალია, თავიდან ცოტა გამიჭირდა, მაგრამ ახლა ადაპტაციის პრობლემა აღარ მაქვს. ამაში გუნდში არსებული მეგობრული სიტუაციაც დამეხმარა. არავინ გეტყვის, შენ ჩამოსული ხარ და ნაკლები გეთქმისო. გუნდის მეკარე როლანდ ერაძეც ძალიან დამეხმარა. ისე, თვითონ ისლანდიაც ასეთი არ მეგონა. რატომღაც ჩვენი ქვეყნის მსგავსი, მაღალმთიანი წარმომედგინა. იქ კი ვაკე და ვულკანები დამხვდა. საერთოდ, ძალიან განვითარებული ქვეყანაა და თბილი ხალხი ცხოვრობს.

— ადრე გვითხარი, ინდივიდუალურად მამზადებენო, ახლა როგორ მიდის შენი საქმეები და რამდენად ხშირად გიწევს თამაში?

— დღეში ორჯერ ვვარჯიშობ. დილით ინდივიდუალურად, ხოლო საღამოს გუნდთან ერთად. ასე პირველიდან 2 საათამდე მე ბორის აგბაშის მეთვალყურეობის ქვეშ ვარ. აქცენტი ტექნიკაზე, ხელის სისწრაფესა და სწრაფ მოძრაობაზე კეთდება. მწვრთნელი მეუბნება და მეც ვგრძნობ, რომ საგრძნობლად მოვუმატე. ახლა ნახტომის გასაუმჯობესებლად და სისწრაფეზე მმართებს მეტი მუშაობა. ძალიან ძლიერი რვაგუნდა ჩემპიონატი აქვთ და თუ მაგარი არ ხარ, თავს ვერ გაიტან. ყველა კომპონენტში კარგად უნდა გამოიყურებოდე — გამძლეობაც, სისწრაფეც და, რაც მთავარია, უნდა აზროვნებდე.

— ჩემპიონატში რომელ ადგილზე ხართ და რა ამბიციები გაქვთ?

— ბოლო ტურში „ფრამს" ქულით მოვუგეთ და მე-2 ადგილზე გადავინაცვლეთ, ახლა ლიდერ „ჰაუკარს" 4 ქულით ჩამოვრჩებით. წინ მთელი მეორე წრე გველის და ხელბურთელებიც და ხელმძღვანელობაც საჩემპიონოდ ვართ მომართულები. ეს „ჰაუკარი" დაახლოებით ჩვენი დონის გუნდია, ეგ არის, სტაბილურად გამოდიოდა და დაგეგმილი ქულები არ დაკარგა, მაგრამ არა უშავს, გადაწყვეტილი არაფერია. ისე, არც თასის დათმობას ვაპირებთ. წამოსვლის წინ იგივე „ფრამთან" 33:32 კი წავაგეთ, მაგრამ განმეორებითი თამაში შინ გვაქვს.

— რამდენად ძლიერი პირველობა აქვთ და შენი გოლების მონაგარი როგორია?

— კარგი ჩემპიონატი აქვთ. პოპულარული სპორტია და დიდი ყურადღება ეთმობა. თამაში კვირაში სამჯერ მაინც მიწევს და გოლებიც გამაქვს. ხან 5, ხან 6, უფრო ხშირად დაცვას ვეხმარები. ძირითად შემადგენლობაში ვიწყებ და 45-50 წუთს ვატარებ მოედანზე. სხვათა შორის, აქ ახალგაზრდული გუნდების ჩემპიონატიც აქვთ და იქაც ვთამაშობ. ასე 20 გოლამდე მექნება გატანილი.

— როგორც ჩანს, იქაურ გარემოს კარგად შეეწყვე. კიდევ რამდენ ხანს აპირებ „სტიარნანში" დარჩენას?

— კონტრაქტი 2013 წლამდე მაქვს. ისლანდიას მივეჩვიე და ჯერ წასვლაზე არ ვფიქრობ. ალბათ 3-4 წელიწადს იქ ვიქნები. ყველა პირობა მაქვს, რომ მოვემზადო და გაზრდა მოვახერხო. ჩემი ოცნება კი მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში, გერმანულ ბუნდესლიგაში გამოსვლაა. განსაკუთრებით „კილი" და „ფრენცბურგი" მომწონს. ვიცი, თავიდან გრანდში თავის დამკვიდრება გამიჭირდება, მაგრამ მთავარია, ბუნდესლიგაში ფეხი მოვიკიდო და მერე დიდ გუნდებზეც ვიფიქრებ...

— „სტიარნანში" ქართველი როლანდ ერაძე გამოდის, მასზე რას გვეტყვი?

— გუნდის ძირითადი მეკარეა და დიდი პატივისცემით სარგებლობს, მეც ძალიან მეხმარება. ბოლოს რომ შევეხმიანე, ისლანდიის ნაკრებთან ერთად დანიაში იყო შეკრებაზე. სხვათა შორის, მან ლუქსემბურგზეც მითხრა, ნორმალური გუნდია და მოდუნებას არ გირჩევთ, საბრძოლველად უნდა განეწყოთ და ისე გახვიდეთ მოედანზეო.

— ახლა ნაკრებზეც ვთქვათ, როგორ ფორმაში ხვდები ფინალს?

— ტრამვას არ ვუჩივი, ცოტა კოჭი მაწუხებს, მაგრამ არაფერია. ნაკრებში კარგი განწყობაა და ყველა მოგებაზე ფიქრობს. პრობლემა ალბათ ისევ შეუთამაშებლობა იქნება. ლეგიონერები ყველა განსხვავებულ ჩემპიონატებში ვთამაშობთ, განსხვავებული სქემებით, აქ კი გადაწყობა და შეთამაშება გვჭირდება. თან გუნდში ბევრი ახალი სახეცაა. მიუხედავად ყველაფრისა, ლუქსემბურგს აუცილებლად უნდა მოვუგოთ, უკან დასახევი გზა მოჭრილია.

**ლევან მაისურაძე**



# ახალ ზელანდიას მამა აღარ ჰყავს



## 88 წლისა გარდაიცვალა ედმუნდ ჰილარი, კაცი რომელმაც პირველმა შედგა ფეხი ჯომოლუნგმაზე

**სერი** მერე გახდა, მანამდე ის მთამსვლელი იყო!..

ახლა კი მისგან დარჩა ხსოვნა მის საქმეთა საგმიროთა და უდიდესი პატივისცემა.

ახალ ზელანდიას მამა აღარ ჰყავს. 88 წლისა გარდაიცვალა ნახევარი საუკუნის წინ, უფრო ზუსტად კი 1953 წლის 29 მაისს მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის, ევერესტის დამპყრობი ედმუნდ ჰილარი, შემდგომში სერად წოდებული.

ნახევარი საუკუნის წინ ის „უბრალოდ" მაგარი კაცი იყო, მგლის მუხლი და ირმის ფილტვები ჰქონდა და რამდენიმე გაბედულ და თავგადადებულ ადამიანთან ერთად მიაბიჯებდა იმ ფერდობებზე და კბოდეებზე, სადაც ადამის მოდგმას მანამდე ფეხი არ დაედგა. ადამიანს დაელაშქრა ორივე პოლუსი, ყველა მიუდგომელი ადგილი ხმელეთზე, ალმოეჩინა ყველა კუნძული და ყველაფრისთვის თავისი სახელი დაერქმია. ჰიმალაები და მისი მეფე ევერესტ-ჯომოლუნგმა კი ცაზე შუბლმიბჯენილი ხელშეუხებელი ქალწულივით ზევიდან ამაყად იმზირებოდა და ირონიული მოლოდინით ელოდა თამამთა შორის ყველაზე თამამებს, ყველაზე გაბედულებს.

1953 წელს, გაზაფხულის ბოლო დღეებში მისკენ მიიწევდნენ ბრიტანელები, რომელთაც ბრიტანეთის და ბრიტანული სითამამის გარდა, მგონი, ყველაფერი დაეკარგათ. ახალი ზელანდია ჯერ კიდევ შედიოდა გაერთიანებული სამეფოს საზღვრებში და ექსპედიციასაც ამიტომ ეწოდებოდა ბრიტანული. ხელმძღვანელი გახლდათ ჯონ ჰანტი, თითქმის 9-ათასიან ბუმბერაზზე რამდენიმედღიანი შეტევის შემდეგ მხოლოდ ორმა კაცმა მიაღწია მწვერვალს — ახალზელანდიელმა ედმუნდ ჰილარიმ და ექსპედიციის ნეპალელმა, ანუ ტომით შერპმა გამყოლმა თენსინგ ნორგეიმ.

დედამიწის უმაღლესი წერტილის დაპყრობის ამბავმა მსოფლიოში ცოტა დაიგვიანა, არა იმიტომ, რომ ამ ცნობას 50-იან წლებში 8848 მეტრი სიმაღლიდან ჩამოსვლა დააგვიანდა, არამედ უფრო იმის გამო, რომ 1953 წლის 29 მაისს, ანუ ზუსტად იმ დღეს ბრიტანეთის და გაერთიანებული სამეფოს ტახტზე დაბრძანდა ელიზაბეტ მეორე, დედოფალი, რომელიც დღემდე ფორმალურად, მაგრამ მაინც განაგებს ამ სახელმწიფოს და იმ დროის მთავარი ამბავიც ეს იყო.

დღეს კი...

ახალი ზელანდია როგორც ეროვნულ გმირს, ისე დასტირის ედმუნდ ჰილარის. მის ხსოვნას პატივი მიაგო ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრმა ჰელენ ჰანტმა და მას „ახალი ზელანდიის ყველა დროის ყველაზე ცნობილი მოქალაქე უწოდა".

ედმუნდ ჰილარის მანამდეც და მერეც ბევრი ისეთი რამ გაუკეთებია, რაც ბევრ თავგადასავლის მაძიებელ ადამიანს წონას შესძენდა და აღიარებას მოუტანდა. კერძოდ, მან ძველისძველი ალჭურვილობით უწია სამხრეთ პოლუსს და სხვა ძნელად მისადგომ ალაგებს, ტრაქტორზე ამხედრებულმა გარს შემოუარა ყინულოვან კონტინენტ ანტარქტიდას და სხვა სასახელო საქმეები აკეთა, მაგრამ კაცობრიობის ისტორიას ის დედამიწის ჭერზე ხელის მიმკაკუნებელ პირველ კაცად დაამახსოვრდება.

**კოტე ყორშია**

## ავსტრალიის ღია პირველობა. მელბურნი. 14-27 იანვარი. საპრიზო 20 640 000 $

### კაცების ბადე

1/32 — 1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

ფედერერი (1) — ჰარტფილდი
სანტორო — აისნერი
ტიპსარევიჩი — სირიანი
ვერდასკო (25) — ასიონე
მონაკო (21) — ბერლოკი
კენდრიკი — კვალ.
ერნანდესი — მინარი
ბერდიხი (13) — ეშპაუერი
ბლეიკი (12) — მასუ
რასელი — ფონინი
ვოლანდრი — გროჟანი
ლიუბიჩიჩი (17) — კვალ.
ალმაგრო (27) — ჩილიჩი
მელცერი — ვანეკი
ლი — გუჩიონე
გონსალესი (7) — კვალ.
ჯოკოვიჩი (3) — ბეკერი
ბოლელი — კვალ.
ქუერეი — ო. როხუსი
ტურსუნოვი (32) — მალისი
ჰიუიტი (19) — დარსისი
ისტომინი — კვალ.
საფინი — გულბისი
ბაღდატისი (15) — იოჰანსონი
ნალბანდიანი (10) — სმიტსი
ზაბალეტა — ლუჟაკი
ჯონსი — მონტანესი
ფერერო (22) — კიფერი
შტეპანეკი (30) — სპადეა
როიტმანი — კვალ.
ვენტურა — დელ პოტრო
ფერერი (5) — როჟერ-ვასელინი
გასკე (8) — ლინდალი
ლოპესი — კვალ.
ვლიგენი — პატიენსი
ანდრეევი (31) — პაველი
ჩელა (18) — გარსია-ლოპესი
ფალა — კვალ.
ბრჟეჟიცკი — კვალ.
მიურეი (9) — ცონგა
იუჟნი (14) — მონტკორტი
სეპი — კვალ.
სელა — კვალ.
კარლოვიჩი (20) — კვალ.
ვავრინკა (26) — ბენეტო
ჟიკელი — ლუ
მაჰუ — აკასუსო
დავიდენკო (4) — ლოდრა
როდიკი (6) — კვალ.
ბერერი — იანგი
კოროლიოვი — კვალ.
კოლშრაიბერი (29) — კვალ.
ნიემინენი (24) — დანსევიჩი
ვასალო არგუელო — ლევაინი
ფიში — პაშანსკი
რობრედო (11) — ზეერევი
მოია (16) — კუბეკი
ჰორნა — კალერი
კაპდევილი — კლაინი
მატიო (23) — ჰანესკუ
სიმონი (28) — რეინოლდსი
შუტლერი — კლემანი
სერა — მაიერი
ნადალი (2) — კვალ.

# თავში ჯერაც როჯერია

როჯერ ფედერერი კარიერის იმ ეტაპზეა, როცა ნებისმიერი მოგებული ტურნირი, ხანდახან კი მატჩიც მას რაიმე ახალ რეკორდთან აახლოებს. გამონაკლისი არც უახლოესი ორი კვირა იქნება — მელბურნ-პარკზე გამარჯვების შემთხვევაში ის პირველი მეჩოგნე იქნება ღია პირველობათა ერაში, ვინც ავსტრალიურ მწვერვალს ზედიზედ მესამედ უწევს. გარდა ამისა, „მხიარული როჯერი“ ხელის გაწვდენის სიშორეზე მიუახლოვდება პიტ სამპრასის კარიერის განმავლობაში მოგებული სლემტურნირების რეკორდს. ამერიკელს სულ „დიდი სლემის“ 14 შეჯიბრზე უხეირია — ფედერერისთვის კი მელბურნში ტრიუმფი (თუ შედგა) მე-13 სლემტიტული იქნება. სწორედ ამიტომ, შვეიცარიელისგან წლეულს ყველა ამ რეკორდის მოხსნას ელის და თავად როჯერმა რამდენიც არ უნდა იძახოს, ამაზე საერთოდ არ ვფიქრობო, საეჭვოა, ეს ფაქტი მასზე ზეწოლას არ აძლიერებდეს.

რა თქმა უნდა, ალპელი უდავო ფავორიტია, მაგრამ აქვე ისიც ვთქვათ, რომ ფედერერი ტურნირს ასე მოუმზადებელი არასოდეს შეხვედრია. შვეიცარიელს დეკემბრის დასაწყისში მასტერსის თასის ფინალში დავიდ ფერერის განადგურების შემდეგ არ უთამაშია, რაც მისი დონის მეჩოგნესაც აუცილებლად უნდა დაეტყოს. ალპელი გავარჯიშებას ტრადიციულ „კუიონგ კლასიკზე“ აპირებდა, მაგრამ რალაც ვირუსი შეეყარა და ახლა ტურნირს რა ფორმაში ხვდება, მის გარდა არავინ იცის. ამის მიუხედავად, ფედერერმა კლასის ხარჯზე პირველი კვირა მაინც ყოველგვარი წაბორძიკების გარეშე უნდა გაიაროს, შემდეგ კი წესით, უნდა ათამაშედეს კიდეც.

თუმც არიან მეჩოგნეები, რომლებიც ძალთა ამდაგვარ განლაგებას არავითარ შემთხვევაში არ შეურიგდებიან და ფედერერის ჰეგემონიის დასამხობად თავს არ დაზოგავენ. ამათ შორის უპირველსად რაფაელ ნადალი უნდა მოვიხსენიოთ — ესპანელ ვარსკვლავბიჭუნაზე უკეთესად ხომ არავინ იცის, როგორ უნდა შვეიცარიელის წაქცევა. მალიორკელს დღევანდელ ტურში ამის ყველაზე დიდი გამოცდილება აქვს, მაგრამ საეჭვოა, მელბურნში მისი გამოყენება მოუწიოს — საქმე იმაშია, რომ რაფა ფედერერს ფინალამდე ვერანაირად ვერ გადაეყრება და თუ გადამწყვეტ მატჩში ალეპლის გამოჩენას ყველა ელის, ესპანელის იქ გასვლა მოულოდნელობა იქნება. ეს კი იმიტომ, რომ ჯერ ერთი, მალიორკელი სეზონს ყოველთვის მძიმედ იწყებს და ფორმაში მხოლოდ მარტისთვის შედის ხოლმე; მეორეც, დღესდღეობით ჰარდზე რაფაზე მეტად გაწაფული ჩოგბურთელებიც არსებობენ, რომელთა ძლევაც ესპანელს მაგრად უნდა გაუჭირდეს.

სამაგიეროდ, ფედერერის მთავარ მეტოქეებად სპეციალისტები ახალგაზრდებს, ნოვაკ ჯოკოვიჩსა და ენდი მიურეის ხედავენ. პირველს ზურგს ფანტასტიკური სეზონი უმაგრებს და თუ ტემპი წლეულსაც არ დააგდო, ის მარტო ავსტრალიაში კი არა, მთლიანად წლის განმავლობაში იქნება ფედრერისთვის სახიფათო. აი, მიურეის კი, სერბისგან განსხვავებით, ბევრი აქვს დასამტკიცებელი და ამიტომ შესაძლოა უფრო სახიფათო იყოს.

ტრადიციულად იმედიანად არიან უკანასკნელი წლების ფავორიტთა კოჰორტის უცვლელი წევრები — ენდი როდიკი და ლეიტონ ჰიუიტი. ამერიკელი ისევ თავისი გიჟური მოწოდების ხარჯზე ეცდება ფონს გასვლას. მასპინძელთა ფავორიტი ჰიუიტი კი ამტკიცებს, ასეთ ფორმაში რამდენიმე წელია არ ვყოფილვარო. ამასვე ამბობს ფედერერის ყოფილი და ჰიუიტის ამჟამინდელი მწვრთნელი ტონი როუჩიც, რომელმაც ლეიტონი ექსშეგირდის მთავარ მეტოქედ მოიაზრა.



არის კიდევ ერთი მეჩოგნე, რომელსაც შვეიცარიელის რიდი ნაკლებად აქვს და როგორც ტოლსწორს, ისე ეთამაშება ხოლმე. საუბარია მარატ საფინზე, რომელიც ურიგო ფორმაში არ უნდა იყოს და თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მელბურნ-პარკის კორტებზე ის ყოველთვის დიდებულად თამაშობდა (2005 წლის ჩემპიონი და სამგზის ფინალისტია), ახლაც ბევრს უნდა გაუმწაროს სიცოცხლე.

**ბახა ლომაშვილი**

## AUSTRALIAN OPEN-ის კაცთა ყველა ფინალი

1905 როდნი ჰიტი — არტურ კურტისი 4:6 6:3 6:4 6:4
1906 ენტონი ვილდინგი — ფრანცის ფიშერი 6:0 6:4 6:4
1907 ჰორას რაისი — ჰარი პარკერი 6:3 6:4 6:4
1908 ფრედ ალექსანდერი — ალფრედ დანლოპი 3:6 3:6 6:0 6:2 6:3
1909 ენტონი ვილდინგი — ერნი პარკერი 6:1 7:5 6:2
1910 როდნი ჰიტი — ჰორას რაისი 6:4 6:3 6:2
1911 ნორმან ბრუქსი — ჰორას რაისი 6:1 652 6:3
1912 ჯეიმს პარკი — ალფრედ ბემიში 3:6 6:3 1:6 6:1 7:5
1913 ერნი პარკერი — ჰარი პარკერი 2:6 6:1 6:3 6:2
1914 არტურ ოჰარა — ჯერალდ პეტერსონი 6:4 6:3 5:7 6:1
1915 გორდონ ლოუ — ჰორას რაისი 4:6 6:1 6:1 6:4
1916-18 არ ჩატარებულა
1919 ელგერნონ კინგსკოტი — ერიკ პოკლეი 6:4 6:0 6:3
1920 პიტ ოჰარა — რონ ტომასი 6:3 4:6 6:8 6:1 6:3
1921 რუს ჯემილი — ელფ ჰედემანი 7:5 6:1 6:4
1922 ჯეიმს ანდერსონი — ჯერალდ პეტერსონი 6:0 3:6 3:6 6:3 6:2
1923 ტიპ ოჰარა — ბერტ სენტ ჯონი 6:1 6:1 6:3
1924 ჯეიმს ანდერსონი — ბობ შლეზინგერი 6:3 6:4 3:6 5:7 6:3
1925 ჯეიმს ანდერსონი — ჯერალდ პეტერსონი 11:9 2:6 6:2 6:3
1926 ჯონ ჰოუკსი — ჯიმ ვილარდი 6:1 6:3 6:1
1927 ჯერალდ პეტერსონი — ჯონ ჰოუკსი 3:6 6:4 3:6 18:16 6:3
1928 ჟან ბოროტრა — ჯეკ კამინგსი 6:4 6:1 4:6 5:7 6:3
1929 ჯონ გრეგორი — ბობ შლეზინგერი 6:2 6:2 5:7 7:5
1930 გერ მუნი — ჰარი ჰოპმანი 6:3 6:1 6:3
1931 ჯეკ კროუფორდი — ჰარი ჰოპმანი 6:4 6:2 2:6 6:1
1932 ჯეკ კროუფორდი — ჰარი ჰოპმანი 4:6 6:3 3:6 6:3 6:1
1933 ჯეკ კროუფორდი — კეიტ გლედჰილი 2:6 7:5 6:3 6:2
1934 ფრედ პერი — ჯეკ კროუფორდი 6:3 7:5 6:1
1935 ჯეკ კროუფორდი — ფრედ პერი 2:6 6:4 6:4 6:4
1936 ადრიან ქვისტი — ჯეკ კროუფორდი 6:2 6:3 4:6 3:6 9:7
1937 ვივიან მაკგრათი — ჯონ ბრომვიჩი 6:3 1:6 6:0 2:6 6:1
1938 დონ ბაჯი — ჯონ ბრომვიჩი 6:4 6:2 6:1
1939 ჯონ ბრომვიჩი — ადრიან ქვისტი 6:4 6:1 6:3
1940 ადრიან ქვისტი — ჯეკ კროუფორდი 6:3 6:1 6:2
1941-45 არ ჩატარებულა
1946 ჯონ ბრომვიჩი — დინი პაილსი 5:7 6:3 7:5 3:6 6:2
1947 დინი პაილსი — ჯონ ბრომვიჩი 4:6 6:4 3:6 7:5 8:6
1948 ადრიან ქვისტი — ჯონ ბრომვიჩი 6:4 3:6 6:3 2:6 6:3
1949 ფრენკ სეჯმენი — ჯონ ბრომვიჩი 6:3 6:2 6:2
1950 ფრენკ სეჯმენი — კენ მაკგრეგორი 6:3 6:4 4:6 6:1
1951 დიკ სევიტი — კენ მაკგრეგორი 6:3 2:6 6:3 6:1
1952 კენ მაკგრეგორი — ფრენკ სეჯმენი 7:5 12:10 2:6 6:2
1953 კენ როზუოლი — მერვინ როუზი 6:0 6:3 6:4
1954 მერვინ როუზი — რიქს ჰარტვიგი 6:2 0:6 6:4 6:2
1955 კენ როზუოლი — ლიუ ჰოადი 9:7 6:4 6:4
1956 ლიუ ჰოადი — კენ როზუოლი 6:4 3:6 6:4 7:5
1957 ეშლი კუპერი — ნილ ფრეზერი 6:3 9:11 6:4 6:2
1958 ეშლი კუპერი — მალკოლმ ანდერსონი 7:5 6:3 6:4
1959 ალექს ოლმედო — ნილ ფრეზერი 6:1 6:2 3:6 6:3
1960 როდ ლეივერი — ნილ ფრეზერი 5:7 3:6 6:3 8:6 8:6
1961 როი ემერსონი — როდ ლეივერი 1:6 6:3 7:5 6:4
1962 როდ ლეივერი — როი ემერსონი 8:6 0:6 6:4 6:4
1963 როი ემერსონი — კლენ ფლეტჩერი 6:3 6:3 6:1
1964 როი ემერსონი — ფრედ სტოული 6:3 6:4 6:2
1965 როი ემერსონი — ფრედ სტოული 7:9 2:6 6:4 7:5 6:1
1966 როი ემერსონი — არტურ ეში 6:4 6:8 6:2 6:3
1967 როი ემერსონი — არტურ ეში 6:4 6:1 6:4
1868 ბილ ბოურეი — ხუან ხისბერტი 7:5 2:6 9:7 6:4
1969 როდ ლეივერი — ანდრეს ხიმენო 6:3 6:4 7:5
1970 არტურ ეში — დიკ კრეილი 6:4 9:7 6:2
1971 კენ როზუოლი — არტურ ეში 6:1 7:5 6:3
1972 კენ როზუოლი — მალკოლმ ანდერსონი 7:6 6:3 7:5
1973 ჯონ ნიუკომბი — ონი პარუნი 6:3 6:7 7:5 6:1
1974 ჯიმი კონორსი — ფილ დენტი 7:6 6:4 4:6 6:3
1975 ჯონ ნიუკომბი — ჯიმი კონორსი 7:5 3:6 6:4 7:5
1976 მარკ ედმონდსონი — ჯონ ნიუკომბი 6:7 6:3 7:6 6:1
1977 იანგ როსკოუ ტანერი — გილერმო ვილასი 6:3 6:3 6:3
1977 დეკ ვიტას გერულაიტისი — ჯონ ლოიდი 6:3 7:6 5:7 3:6 6:2
1978 გილერმო ვილასი — ჯონ მარქსი 6:4 6:4 3:6 6:3
1979 გილერმო ვილასი — ჯონ სადრი 7:6 6:3 6:2
1980 ბრაიან ტიჩერი — კიმ უორვიკი 7:5 7:6 6:3
1981 იოჰან კრიკი — სტივ დენტონი 6:2 7:6 6:7 6:4
1982 იოჰან კრიკი — სტივ დენტონი 6:3 6:3 6:2
1983 მატს ვილანდერი — ივან ლენდლი 6:1 6:4 6:4
1984 მატს ვილანდერი — კევინ კარენი 6:7 6:4 7:6 6:2
1985 სტეფან ედბერგი — მატს ვილანდერი 6:4 6:3 6:3
1986 არ ჩატარებულა
1987 სტეფან ედბერგი — პატ კეში 6:3 6:4 3:6 5:7 6:3
1988 მატს ვილანდერი — პატ კეში 6:3 6:7 3:6 6:1 8:6
1989 ივან ლენდლი — მიროსლავ მეჩირი 6:2 6:2 6:2
1990 ივან ლენდლი — სტეფან ედბერგი 4:6 7:6 5:2 (უარი)
1991 ბორის ბეკერი — ივან ლენდლი 1:6 6:4 6:4 6:4
1992 ჯიმ კურიე — სტეფან ედბერგი 6:3 3:6 6:4 6:2
1993 ჯიმ კურიე — სტეფან ედბერგი 6:2 6:1 2:6 7:5
1994 პიტ სამპრასი — ტოდ მარტინი 7:6 6:4 6:4
1995 ანდრე აგასი — პიტ სამპრასი 4:6 6:1 7:6 6:4
1996 ბორის ბეკერი — მაიკლ ჩანგი 6:2 6:4 2:6 6:2
1997 პიტ სამპრასი — კარლოს მოია 6:2 6:3 6:3
1998 პეტერ კორდა — მარსელო რიოსი 6:2 6:2 6:2
1999 ევგენი კაფელნიკოვი — ტომას ენკვისტი 4:6 6:0 6:3 7:6
2000 ანდრე აგასი — ევგენი კაფელნიკოვი 3:6 6:3 6:2 6:4
2001 ანდრე აგასი — არნო კლემანი 6:4 6:2 6:2
2002 ტომას იოჰანსონი — მარატ საფინი 3:6 6:4 6:4 7:6
2003 ანდრე აგასი — რაინერ შუტლერი 6:2 6:2 6:1
2004 როჯერ ფედერერი — მარატ საფინი 7:6 6:4 6:2
2005 მარატ საფინი — ლეიტონ ჰიუიტი 1:6 6:3 6:4 6:4
2006 როჯერ ფედერერი — მარკოს ბაღდატისი 5:7 7:5 6:0 6:2
2007 როჯერ ფედერერი — ფერნანდო გონსალესი 7:6 6:4 6:4

# ენინი და რუსები, სერბები, შავდები...



**წინა** წლებისგან განსხვავებით, გამოკვეთილი ფავორიტია ქალთა შორისაც. ღლეისთვის ჟუსტინ ენინი ყველა დანარჩენზე ერთი თავით მაღლა დგას როგორც წმინდა სათამაშო, ისე ტაქტიკური მომზადების კუთხით. თან ჭინკა ბელგიელი მელბურნ-პარკზე არნახული მოტივაციით ითამაშებს, რადგანაც ამ ტურნირთან თავისი ანგარიშები აქვს გასასწორებელი — ბელგიელი შარშანწინაც და შარშანაც გამარჯვების უმთავრეს პრეტენდენტად მოიაზრებოდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო 2004 წლის ტრიუმფი ვერ გაიმეორა. ორი წლის წინ ამელი მორესმოსთან ფინალის დროს ტრავმა გაუმიზეზდა და მატჩი ვერ ჩაამთავრა, შარშან კი მწვანე კონტინენტზე საერთოდ ვერ ჩავიდა, რადგანაც ქმარს ეყრებოდა.

ასე რომ, ენინი გამარჯვებაზე სერიოზულადაა დაგეშილი და სათამაშო ფორმასაც არ უჩივის — შარშანდელი უიმბლდონის ნახევარფინალში მარიონ ბარტოლისთან ბრიყვული მარცხის შემდეგ ერთხელაც არ წაუგია და ამ სერიის გაგრძელებას მინიმუმ იანვრის ბოლომდე აპირებს.

ბელგიელის ძირითადი მეტოქეები კი შეიძლება, ეროვნული ნიშნით გამოვყოთ — რუსები, სერბები და ამერიკელები.

ჩვენ რუსებით დავიწყოთ, რომელთაგან საუკეთესო შანსები მეორე ნომრად განთესილ სვეტლანა კუზნეცოვასა და მარია შარაპოვას აქვთ. პირველმა შარშან საკმაოდ სოლიდური სეზონი ჩაატარა, მაგრამ ერთი ეგ არის, ფინალების მოგებას გადაეჩვია. კუზნეცოვა განსაკუთრებით ამაზრზენად ენინთან გამოიყურება — 18 ურთიერთდაპირისპირებაში სლავს მხოლოდ 2-ჯერ გაუმარჯვია, ბოლოს კი ბელგიელთან გუშინ სიდნეის ფინალში წააგო. აი, შარაპოვას კი თანამემამულისგან განსხვავებით, შარშან ამაზრზენი წელი ჰქონდა და მისი ფავორიტთა შორის მოხსენიება თავში არავის მოუვიდოდა, რომ არა მადრიდში წლის შემაჯამებელ ტურნირზე ნაჩვენები თამაში. ესპანეთის დედაქალაქში მაშამ მართლაც შთამბეჭდავად ითოგნავა, ხოლო მისი ფინალი ენინთან იმდენად დაძაბული და ლამაზი სანახავი გამოდგა, რომ ჩოგბურთის გულშემატკივრებს კიდევ კარგა ხანს არ დაავიწყდებათ. ამიტომაც ბევრი უკვე ახლავე იფშვნეტს ხელებს ამ მეჩოგნეთა რემატჩის სანახავად, რაც წესით, მეოთხედფინალში უნდა მოხდეს.

ამბიციები არც სერბებს აკლიათ — ელენა იანკოვიჩმა და ანა ივანოვიჩმა შარშან მყარად შეაბიჯეს ტოპხუთეულში და არც ავსტრალიაში აპირებენ რაიმის დათმობას. ამათგან განსაკუთრებით თამამ განცხადებებს ივანოვიჩი აკეთებს და პირდაპირ ამბობს, ჩემი მიზანი მსოფლიოს პირველმეჩოგნეობააო. შეიძლება, ეს ცოტა გადაჭარბებულიც იყოს, მაგრამ სერბი ლამაზმანი თავისი ლაზათიანი ჩოგბურთით ტურნირს აუცილებლად გაალამაზებს. იანკოვიჩის წარმატებები კი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლო მან ტრავმის მოშუშება, რომელიც იანვრის დასაწყისში ნაკრებთა არაოფიციალურ ტურნირზე ჰოპმანის თასზე მიიღო. დაზიანება თავიდან სერიოზული არ იყო, მაგრამ ელენამ თავისიანები არ დაალალატა და რამდენიმე მატჩი ტრავმით ითამაშა, რაც მის ჯანმრთელობას აშკარად არ წაადგა.

ყველა თავისას კი გეგმავს, მაგრამ დები უილიამსები ხასიათზე თუ იქნენ და ჯანმაც ხელი შეუწყოთ, მაშინ ნახეთ, ფავორიტთა ეს ჩამონათვალი როგორ ყირაზე დადგეს. შავდებმა ასეთი რამ შარშან უკვე გააკეთეს — ჯერ უმცროსმა ავსტრალიაში, შემდეგ კი ვინუსმა უიმბლდონზე, როცა არც ერთი განთესილთა შორისაც არ იყო, მათ კი ავსტრალიასა და ბრიტანეთში ყველა მიყარ-მოყარეს და მორიგი სლემტიტულები დაითითოვეს. შავდები არც ახლა იტყვიან ამაზე უარს, მით უმეტეს, რომ ტურნირისთვის ორივე კარგად მოემზადა და ტემპი თუ აკრიფეს, მერე ყველა უფრთხილდეს, რადგანაც ეს ორი ლოკომოტივი ნებისმიერს დაუნდობლად გადათელავს.

**ბაჩა ლომაშვილი**

## AUSTRALIAN OPEN-ის ქალთა ყველა ფინალი

1922 მარგარეტ მოლსვორტი — ესნა რობერტსონი 6:3 10:8
1923 მარგარეტ მოლსვორტი — ესნა რობერტსონი 6:1 7:5
1924 სილვია ჰარპერი — ესნა რობერტსონი 6:3 3:6 8:6
1925 დაფნი კოზენსი — ესნა რობერტსონი 1:6 8:6 6:4
1926 დაფნი კოზენსი — ესნა რობერტსონი 6:1 6:3
1927 ესნა რობერტსონი — სილვია ჰარპერი 5:7 6:1 6:2
1928 დაფნი კოზენსი — ესნა რობერტსონი 7:5 6:2
1929 დაფნი კოზენსი — ლუის ბიკერტონი 6:1 5:7 6:2
1930 დაფნი კოზენსი — სილვია ჰარპერი 10:8 2:6 7:5
1931 კორალ ბატსვორთი — მარჯორი კროუფორდი 1:6 6:3 6:4
1932 კორალ ბატსვორთი — კატრინ ლიმსტროუ 9:7 6:4
1933 ჯოან ჰართიგანი — კორალ ბატსვორთი 6:4 6:3
1934 ჯოან ჰართიგანი — მარგარეტ მოლსვორტი 6:1 6:4
1935 დოროთი რაუნდი — ნენსი ლაილი 1:6 6:1 6:3
1936 ჯოან ჰართიგანი — ნენსი ბოლტონი 6:4 6:4
1937 ნენსი ბოლტონი — ემილი ვესტეკოტი 6:3 5:7 6:4
1938 დოროთი ბანდი — დოროთი სტივენსონი 6:3 6:2
1939 ემილ ვესტეკოტი — ნელ ჰოპმანი 6:1 6:2
1940 ნენსი ბოლტონი — ტელმა ლონგი 5:7 6:4 6:0
1941-45 არ ჩატარებულა
1946 ნენსი ბოლტონი — ჯუის ფიტჩი 6:4 6:4
1947 ნენსი ბოლტონი — ნელ ჰოპმანი 6:3 6:2
1948 ნენსი ბოლტონი — მერი ტუმი 6:3 6:1
1949 დორის ჰარტი — ნენსი ბოლტონი 6:3 6:4
1950 ლუის კლეპი — დორის ჰარტი 6:4 3:6 6:4
1951 ნენსი ბოლტონი — ტელმა ლონგი 6:1 7:5
1952 ტელმა ლონგი — ჰელენ ენგვინი 6:2 6:3
1953 მოურინ ბრინკერი — ჯული ჰეივუდი 6:3 6:2
1954 ტელმა ლონგი — ჯენი ჰოადი 6:3 6:4
1955 ბერილ კოლიერი — ტელმა ლონგი 6:4 6:3
1956 მერი რეიტანო — ტელმა ლონგი 3:6 6:2 9:7
1957 შირლი ირვინი — ალთეა გიბსონი 6:3 6:4
1958 ანჯელა ბარეტი — ლორინ რობინსონი 6:3 6:4
1959 მარი რეიტანო — რენე შეიგარტი 6:2 6:3
1960 მარგარეტ კორტი — ჯინ ონილი 7:5 6:2
1961 მარგარეტ კორტი — ჯინ ონილი 6:1 6:4
1962 მარგარეტ კორტი — ჯინ ონილი 6:0 6:2
1963 მარგარეტ კორტი — ჯინ ონილი 6:2 6:2
1964 მარგარეტ კორტი — ლესლი ბოუერი 6:3 6:2
1965 მარგარეტ კორტი — მარია ბუენო 5:7 6:4 5:2 (უარი)
1966 მარგარეტ კორტი — ნენსი ჰანტერი უარი
1967 ნენსი ჰანტერი — ლესლი ბოუერი 6:1 6:4
1968 ბილი ჯინ კინგი — მარგარეტ კორტი 6:1 6:2
1969 მარგარეტ კორტი — ბილი ჯინკინგი 6:4 6:1
1970 მარგარეტ კორტი — კერი მელვილი 6:1 6:3
1971 მარგარეტ კორტი — ივონ გულაგონგი 2:6 7:6 7:5
1972 ვირჯინი ვეიდი — ივონ გულაგონგი 6:4 6:4
1973 მარგარეტ კორტი — ივონ გულაგონგი 6:4 7:5
1974 ივონ გულაგონგი — კრის ევერტი 7:6 4:6 6:0
1975 ივონ გულაგონგი — მარტინა ნავრატილოვა 6:3 6:2
1976 ივონ გულაგონგი — რენატა ტომანოვა 6:2 6:2
1977 იანვ. კერი მელვილი — დიანა ბალესტრატი 7:5 6:2
1977 დეკ. ივონ გულაგონგი — ჰელენ კოული 6:3 6:0
1978 კრისტინ ონილი — ბეტსი ნაგელსენი 6:3 7:6
1979 ბარბარა ჯორდანი — შერონ ვოლში 6:3 6:3
1980 ჰანა მანდლიკოვა — ვენდი ტერნბული 6:0 7:5
1981 მარტინა ნავრატილოვა — კრის ევერტი 6:7 6:4 7:5
1982 კრის ევერტი — მარტინა ნავრატილოვა 6:3 2:6 6:3
1983 მარტინა ნავრატილოვა — კატი ჯორდანი 6:2 7:6
1984 კრის ევერტი — ჰელენა სუკოვა 6:7 6:1 6:3
1985 მარტინა ნავრატილოვა — კრის ევერტი 6:2 4:6 6:2
1986 არ ჩატარებულა
1987 ჰანა მანდლიკოვა — მარტინა ნავრატილოვა 7:5 7:6
1988 შტეფი გრაფი — კრის ევერტი 6:1 7:6
1989 შტეფი გრაფი — ჰელენა სუკოვა 6:4 6:4
1990 შტეფი გრაფი — მერი ჯო ფერნანდესი 6:3 6:4
1991 მონიკა სელეში — იანა ნოვოტნა 5:7 6:3 6:1
1992 მონიკა სელეში — მერი ჯო ფერნანდესი 6:2 6:3
1993 მონიკა სელეში — შტეფი გრაფი 4:6 6:3 6:2
1994 შტეფი გრაფი — არანტა სანჩესი 6:0 6:2
1995 მარი პირსი — არანტა სანჩესი 6:3 6:2
1996 მონიკა სელეში — ანკე ჰუბერი 6:4 6:1
1997 მარტინა ჰინგისი — მარი პირსი 6:2 6:2
1998 მარტინა ჰინგისი — კონჩიტა მარტინესი 6:3 6:3
1999 მარტინა ჰინგისი — ამელი მორესმო 6:2 6:3
2000 ლინდსი დევენპორტი — მარტინა ჰინგისი 6:1 7:5
2001 ჯენიფერ კაპრიატი — მარტინა ჰინგისი 6:4 6:3
2002 ჯენიფერ კაპრიატი — მარტინა ჰინგისი 4:6 7:6 6:2
2003 სერენა უილიამსი — ვინუს უილიამსი 7:6 3:6 6:4
2004 ჟუსტინ ენინი — კიმ კლაისტერსი 6:3 4:6 6:3
2005 სერენა უილიამსი — ლინდსი დევენპორტი 2:6 6:3 6:0
2006 ამელი მორესმო — ჟუსტინ ენინი 6:1 2:0 უარი
2007 სერენაუ უილიამსი — მარია შარაპოვა 6:1 6:2

## ქალების ბადე

1/32 1/16 1/8 1/4 1/2

- ენინი (1) — ნაკამურა
- პუჩკოვა — ალამაკი
- კერბერი — ანი
- შიავონე (25) — ლუა
- ბამერი (19) — კვალ.
- ზაკოპალოვა — კვალ.
- კ. ბონდარენკო — რეზაი
- გოლოვინი (13) — კოენ-ალორო
- დემენტიევა (11) — ობზილერი
- მედინა გარიგესი — ცეტკოვსკა
- დიტი — მერი
- პირი (17) — ვორაცოვა
- ვაკულენკო (32) — ვესნინა
- ჩანი — კრეიბასი
- დევენპორტი — ერანი
- შარაპოვა (5) — კოსტანიჩი
- იანკოვიჩი (3) — პაჩკი
- გალოვიცი — დუბუა
- პენეტა — ციბულკოვა
- რაზანო (30) — ჰარკლეროუდი
- მორესმო (18) — პუჩკი
- შვედოვა — მალეკი
- კნაპი — დელაკუა
- შნიდერი (15) — ოსტერლოჰი
- ვაიდიშოვა (12) — ოლარუ
- მოლიკი — კანეკი
- ბრენგლი — პერებინისი
- ზვონარიოვა (23) — სუგიამა
- აზარენკა (26) — ამანმურადოვა
- კვალ. — კვალ.
- კვალ. — კვალ.
- ს. უილიამსი (7) — გაიდიშოვა
- ვ. უილიამსი (8) — იანი
- პინი — კვალ.
- ფერგიუსონი — კვალ.
- მირზა (31) — ტულიაგანოვა
- ლი (24) — ბრემონი
- კამერინი — ვილერი
- იოჰანსონი — კვალ.
- ბარტოლი (10) — არვიდსონი
- საფინა (16) — კვალ.
- სალერნი — კორიცევა
- ა. ვოზნიაკი — დულკო
- ა. ბონდარენკო (21) — კუდრიავცევა
- სრებოტნიკი (28) — დომინგეს ლინო
- როდიონოვა — კვალ.
- გარბინი — დანლიდუ
- ივანოვიჩი (4) — კირსტია
- ჩაკვეტაძე (6) — პეტკოვიჩი
- პენგი — კვალ.
- კრაიჩეკი — მორიგამი
- კირილენკო (27) — ტუ
- შაფაროვა (22) — კასტანო
- ვინჩი — რუანო პასკუალი
- კორნე — ფერნანდესი
- ჰანტუხოვა (9) — კინგი
- პეტროვა (14) — პრატი
- ლინეცკაია — კრემერი
- გრენვილი — მოისბურგერი
- სუავაი (20) — მაკაროვა
- რადვანსკა (29) — სავჩუკი
- მიულერი — ჟარმენტიე
- გოვორცოვა — პირონკოვა
- კუზნეცოვა (2) — დეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორბოლა

# რეალური ტოიოტა: ჯერ ქულები და პოდიუმი




Formula 1

„ფერარისა" და „მაკლარენის" შემდეგ ახალი ბოლიდის პრეზენტაცია „ტოიოტამაც" მოახდინა. იაპონურმა საჯინიბომ ახალი TF108 გერმანულ კიოლნში მდებარე გუნდის ტექნიკურ ცენტრში წარუდგინა საზოგადოებას.

„რა თქმა უნდა, ჩვენი საბოლოო მიზანი პოდიუმის ცენტრალური ადგილის დაკავებაა. ჩვენ იმიტომ ვმონაწილეობთ ფორმულა 1-ის რბოლებში, რომ გავიმარჯვოთ და გვსურს, ეს რაც შეიძლება მალე მოხდეს. წლევანდელი სეზონის პროგრამა-მინიმუმი კი ის არის, შარშანდელზე უკეთ გამოვიდეთ, რადგანაც 2007 წლის შედეგებით უკმაყოფილონი დავრჩით. ვიმედოვნებ, რომ ახალი ბოლიდი ჩვენს პილოტებს იმის საშუალებას მისცემს, რომ რეგულარულად მოვიპოვოთ ქულები და პოდიუმზეც ავიდეთ" — განაცხადა „ტოიოტას" ხელმძღვანელმა ტადასი იამასინუმ.

იაპონური სუპერკონცერნის გუნდის ღირსებას წლევანდელ სეზონში იტალიელი იარნო ტრული და გერმანელი ახალბედა ტიმო გლოკი დაიცავენ. განსაკუთრებული ყურადღება შარშანდელი „უმცროსი ფორმულის" გამარჯვებულის, გლოკისკენაა მიპყრობილი, თუმც თავად გერმანელი მრბოლი ამბობს, რომ მისგან ნუ ელიან ისეთივე შედეგს, როგორსაც 2007 წელს, თავის სადებიუტო სეზონში „მაკლარენის" ინგლისელმა პილოტმა ლუის ჰემილტონმა მიაღწია.

„ჰემილტონის შედეგი, რა თქმა უნდა, უნიკალურია, მაგრამ მას გაცილებით უკეთესი ბოლიდი ჰქონდა და თანაც, „მაკლარენმა" უზარმაზარი სამუშაო გასწია. წლეულს ჩემთვის ძალზე ძნელი იქნება ლუისის შედეგის გამეორება. საჭიროა რეალისტები ვიყოთ — ძნელად, რომ ჩვენ ამ სეზონში ჩემპიონობისთვის ვიბრძოლოთ. პირადად მე, წლის ბოლოს ათეულში ყოფნითაც კმაყოფილი ვიქნები, ხოლო გუნდურ ჩათვლაში მაქსიმუმ მესამე, ხოლო მინიმუმ მეხუთე ადგილი უნდა დავიკავოთ" — ბრძანა ტიმო გლოკმა.

**ბაჩა ლომაძე**

# ფორსირებული ნაბიჯი: ფორს-ინდიამ ფიზიკო თქვა



ვიჯაი მალია (თეთრებში) და მისი პილოტები: ვიტანტონიო ლიუცი, ანდრიან სუტილი და ჯანკარლო ფიზიკელა

**ფორმულა 1-ის** ახალი გუნდის, ყოფილი „სპაიკერის" ბაზაზე დაფუძნებული ინდური „ფორს-ინდიას" მილიარდელმა მფლობელმა ვიჯაი მალიამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ანდრიან სუტილთან ერთად, მისი საჯინიბოს ღირსებას „რენოდან" გაშვებული იტალიელი ჯანკარლო ფიზიკელა დაიცავს.

ფულიანმა ინდოელმა ამის შესახებ იტალიურ „გაძეტა დელო სპორტს" უთხრა და ისიც დაამატა, რომ გუნდის ტესტ-პილოტი კიდევ ერთი იტალიელი ვიტანტონიო ლიუცი იქნება.

„ბარსელონასა და ხერესში გამართულ ტესტებზე ჩვენ რამდენიმე პილოტი გამოვცადეთ და საბოლოოდ, არჩევანი ფიზიკელასა და ლიუცზე შევაჩერეთ. ჯანკარლო უაღრესად გამოცდილი მებრძოლია, მას დიდი წარდგენა არ სჭირდება და „ფორს-ინდიას" პირველი პილოტი სწორედ ის იქნება" — განაცხადა ვიჯაი მალიამ.

**ბაჩა ლომაძე**

ჩოგბურთი

**კაცები**

ოკლენდი. ახალი ზელანდია. ჰარდი. საპრიზო 464 000 დოლარი

**ნახევარფინალი**

ხუან-კარლოს ფერერო (4, ესპანეთი) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 6:3 6:4; ფილიპ კოლშრაიბერი (7 გერმანია) — ხუან მონაკო (3, არგენტინა) 6:2 6:1

**კაცები**

სიდნეი. ავსტრალია. ჰარდი. საპრიზო 465 000 დოლარი

**ნახევარფინალი**

დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:3 7:6; კრის გუჩიონე (ავსტრალია) — რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) 7:6 3:6 6:4

**კაცები**

კოოიონგ კლასიკი. მელბურნი. ავსტრალია. ჰარდი

**ნახევარფინალი**

მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) — ფერნანდო გონსალესი (ჩილე) 6:2 7:5

**ქალები**

სიდნეი ავსტრალია. ჰარდი. საპრიზო 600 000 დოლარი

**ფინალი**

ჟუსტინ ენინი (1, ბელგია) — სვეტლანა კუზნეცოვა (2, რუსეთი) 4:6 6:2 6:4

**ქალები**

ჰობარტი. ავსტრალია. ჰარდი. საპრიზო 175 000 დოლარი

**ფინალი**

ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) — ვერა ზვონარიოვა (2, რუსეთი) უარი

ჰოკეი

# ოვეჩკინი+ვაშინგტონი: 13 წელი და 124 მილიონი

**გუშინ** საბოლოოდ მოელო ბოლო ჭორებს, რომელთა თანახმად ალექსანდრ ოვეჩკინს „ვაშინგტონის" დატოვება უნდოდა. დედაქალაქური გუნდის სუპერვარსკვლავს სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდებოდა და კანადურ-ამერიკული პრესა რუს სნაიპერს ხან „მონრეალში" უშვებდა და ხან „ნიუ იორკ რეინჯერსში".

თუმც გუშინ „ალექსანდრე დიდმა" თავისი ბედი კარგა ხნით დაუკავშირა „ვაშინგტონს" და გუნდთან 13-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ოღონდ აქვე ვთქვათ, რომ წაგებული არც რუსია, რადგანაც ის ნჰლ-ის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ჰოკეისტად იქცა — ამ 13 წელიწადში ოვეჩკინი 124 მილიონით შეივსებს პირად ანგარიშს. კონტრაქტის ამოწურვისას რუსი 35 წლის იქნება.

ნჰლ-ში პირველად დაფიქსირდა შემთხვევა, როცა მოთამაშის კონტრაქტმა 100 მილიონს გადააჭარბა.

„ვაშინგტონის" მხრიდან ეს საკმაოდ სარისკო დაბანდება იყო. მართალია, ოვეჩკინის სახით დედაქალაქელებს ის მოთამაშე ეყოლებათ, რომლის გარშემოც ძლიერი გუნდის აშენება შეიძლება, მაგრამ ამ რაოდენობის თანხის ერთ ჰოკეისტში ჩადება ან გაამართლებს, ან არა. ჯერ ერთი, ტრავმისგან დაზღვეული არავინაა. მეორეც, არაერთხელ ყოფილა, რომ მაღალი კონტრაქტის მოპოვების შემდეგ ჰოკეისტებს მოტივაცია უქრებათ და ძველებურად თავდადებით აღარ თამაშობენ.

თუმც თავად ლეონსისს სჯერა, რომ ოვეჩკინი ყველა იმედს გაამართლებს.

გაამართლებს თუ არა, მხოლოდ დრო გვიჩვენებს. ერთი რამ კი ფაქტია — ოვეჩკინი ნჰლ-ის უძვირფასესი ჰოკეისტია.

**ბაჩა ლომაშვილი**

NHL

## რეგულარული ჩემპიონატი

10 იანვარი

**ატლანტა 2:3 ფლორიდა**
*0:0 1:0 1:2 0:0 (0:1 ბულიტებით)*
1:0 ჰოლიკი (36), 1:1 ოლეში (47), 2:1 კოვალჩუკი (50), 2:2 კრეპსი (53)

**რეინჯერსი 2:6 ფილადელფია**
*2:0 0:3 0:3*
1:0 ჰოლვეგი (5), 2:0 ჰოლვეგი (8), 2:1 კნუბლი (21), 2:2 რუჟიჩკა (29), 2:3 ჰარტნელი (31), 2:4 ჰარტნელი (42), 2:5 ჰარტნელი (49), 2:6 განიე (55)

**კაროლინა 1:4 ნიუ ჯერსი**
*0:1 1:1 0:2*
0:1 ზეიჯაკი (13), 1:1 ოკუანი (23), 1:2 ელიაში (38), 1:3 ჯიონტა (53), 1:4 ბრილინი (59)

**ტამპა 1:4 პიტსბურგი**
*0:0 1:2 0:2*
1:0 რეინჯერი (25), 1:1 სტაალი (33), 1:2 სტაალი (35), 1:3 მელუონი (58), 1:4 მალკინი (60)

**ბოსტონი 2:5 მონრეალი**
*0:2 1:1 1:2*
0:1 პლეკანეცი (11), 0:2 ლაპიერი (12), 0:3 კოვალიოვი (34), 1:3 ჟორდი (35), 2:3 ლუჩიჩი (43), 2:4 დენდენო (52), 2:5 დენდენო (59)

**დეტროიტი 5:6 მინესოტა**
*2:3 2:1 1:1 0:0 (0:1 ბულიტებით)*
0:1 სკოულა (5), 1:1 ზეტერბერგი (6), 1:2 გაბორიკი (19), 1:3 ფედორუკი (19), 2:3 ფილპულა (20), 2:4 ფოი (23), 3:4 დრეიკი (28), 4:4 კრონვალი (29), 5:4 კლირი (59), 5:5 ბელანჟე (60)

**ოტავა 3:2 ბუფალო**
*0:0 2:0 0:2 0:0 (1:0 ბულიტებით)*
1:0 დონოვანი (21), 2:0 ალფრედსონი (38), 2:1 მაკარტური (42), 2:2 პაილი (53)

**სენტ ლუისი 4:2 დალასი**
*2:0 2:1 0:1*
1:0 ბოისი (9), 2:0 კარია (15), 2:1 რიბეირო (24), 3:1 ტკაჩუკი (30), 4:1 ბოისი (30), 4:2 მიეტინენი (59)

**ედმონტონი 5:2 ფინიქსი**
*3:0 2:1 0:1*
1:0 მოროუ (2), 2:0 ბროძიაკი (3), 3:0 სურეი (10), 4:0 ნილსონი (30), 4:1 ბალარდი (37), 5:1 გრებეშკოვი (39), 5:2 ბოინტონი (47)

**სან ხოსე 3:1 ვანკუვერი**
*1:0 1:0 1:1*
1:0 რივე (15), 2:0 რენიკი (26), 3:0 მიხალეკი (47), 3:1 კესლერი (53)

**ლოს ანჯელესი 5:2 ტორონტო**
*4:0 1:1 0:1*
1:0 კალდერი (3), 2:0 ბრაუნი (14), 3:0 ფროლოვი (18), 4:0 ბრაუნი (20), 5:0 ბლეიკი (27), 5:1 ანტროპოვი (36), 5:2 ტაკერი (52)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge